# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 4 აპრილი 2007 №73 (2996) ფასი 50 თეთრი


# ბუა მოვიდა!

## ვან ბუიტენი მილანში მცველი კი არა, მწველი იყო





AFP

**მილანური ვაი: დუე:ცვაი**

## უულვაშო გენერალს ულვაშებში ეცინება

## ლივერპულმა ფილიპსი გამორთო

ინგლისელებმა მესაფლავეს მიწა შინ მიაყარეს



ეინდჰოვენში კუმანის მეტსახელი დაიმარხა



# ფედერაციამ აპელაცია შექმნა

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე სამი საკითხი განიხილეს. აღმასკომმა სააპელაციო და ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტები და მათი შემადგენლობები დაამტკიცა, ასევე იმსჯელა თბილისის „ამერის“ განცხადებაზე. ვინაიდან სფფ-ის სტრუქტურაში სააპელაციო კომიტეტი არ არსებობდა, ამერელებმა აღმასკომს მიმართეს დენის დობროვოლსკისთვის 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციის შემსუბუქების თაობაზე, აღმასკომმა კი პასუხად ხუთკაციანი სააპელაციო კომიტეტი შექმნა. შეგახსენებთ, დობროვოლსკი „დინამო“ — „ამერის“ მატჩისას გააძევეს და მოგვიანებით ოთხი მატჩით და ფულადი ჯარიმით დასაჯეს.

სხდომის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა *ნოდარ ახალკაცმა* თქვა:

— დღეს დავამტკიცეთ ფედერაციის სააპელაციო კომიტეტის ახალი დებულება და ხუთკაციანი შემადგენლობა. სააპელაციო კომიტეტს მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრება. საქმე მოითხოვს, რომ ამ კომიტეტში იურისტებიც იყვნენ და ამიტომ სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარედ ვერა დობორჯგინიძე ავირჩიეთ, წევრები კი მიხეილ საბახტარიშვილი, ილია დათუნაშვილი, ვალერი კობახიძე და ვახტანგ ქორიძე არიან.

ასევე განვიხილეთ თბილისის „ამერის“ განცხადება დენის დობროვოლსკისთვის დისკვალიფიკაციის შემსუბუქების თაობაზე. ამერელთა თხოვნას ახალშექმნილი სააპელაციო კომიტეტი სავარაუდოდ პარასკევს განიხილავს.

დღესვე დამტკიცდა ბავშვთა ფეხბურთის ახალი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც გრიგოლ ცაავა იქნება, წევრები კი ბავშვთა სკოლების ხელმძღვანელები. ბავშვთა ფეხბურთის განვითარება ჩვენთვის სტრატეგიული საკითხია და ამ კომიტეტის შექმნით კიდევ ერთი კარგი ნაბიჯი გადავდგით ჩვენი ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტში ისეთი ხალხი იმუშავებს, რომლებიც დღედაღამ ჩართულნი არიან ამ საქმეში და კარგად იციან, რა სჭირდება მის განვითარებას. იმედი მაქვს მათგან ის იმპულსები წამოვა, რაც ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს.

*უჩა უგულავა, სფფ-ის გენმდივანი:*

— ჩვენ 4 მაისიდან, ჯერ მხოლოდ იმერეთში, ვიწყებთ მწვრთნელთა C კატეგორიის ლიცენზირების კურსებს. დღევანდელი მონაცემებით, კურსებს ამ ლიცენზიის მსურველი 30-მდე მწვრთნელი დაესწრება. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვთა სკოლებში რაც შეიძლება ბევრი ლიცენზირებული მწვრთნელი მუშაობდეს. ლიცენზირების კურსების დამთავრების შემდეგ კი, სექტემბრიდან, ჩვენ დავიწყებთ საფეხბურთო სკოლების ვარსკვლავებით შეფასების პროცესს. ეს იდეა უკვე რეალურად განხორციელების სტადიაშია. სკოლის საქმიანობის ხარისხი და ეფექტიანობა სწორედ დამსახურებული ვარსკვლავების რაოდენობით შეფასდება.

დღეს კი, როგორც ნოდარ ახალკაცმა თქვა, ფედერაციაში გაიმართება ტალანტთა აღმოჩენის სპეციალური პროგრამის პრეზენტაცია. ახალკაცის თქმით, ბავშვთა ფეხბურთში უკვე აღრიცხულია აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი და მონაცემთა ბაზაში მათზე ყველა საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია.

**კობა ინასარიძე**


იარე უმაღლესი ლიგის თამაშებზე

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში

ჯეკპოტი გახდა 6000 ლარი!!!

ჩვენი მიზანი თქვენი მოზიდვა!

ბილეთის ფასი 2 ლარი

აქსისი

GEOCELL

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი

სარბიელი


7 აპრილი, მე-19 ტური

ოლიმპი - ბორჯომი
მერანი - ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი - ჩიხურა
ზესტაფონი ბათუმი
კახეთი - დინამო (თბ.)
სიონი - დილა

ტორპედო - ამერი
სპარტაკი (ნალჩიკი) - რუბინი
ფრაიბურგი - აუგსბურგი
ფიურტი - კარლ ცაისი
მიუნხენ 1860 - კარლსრუე




# იაშვილის ბუნდესშანსები

## ფრაიბურგთან კონტრაქტი აღარ იქნება

მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგმა“ კვირას ქულათა მარაგს სამი ქულაც შემატა და კიდევ უფრო მიუახლოვდა ბუნდესლიგაში გადამსვლელ სამეულს. „ფრაიბურგმა“, რომელმაც ჩემპიონატის პირველი წრე ჩააგდო, ბოლოს აუტსაიდერი „ბურგჰაუზენი“ სტუმრად 2:0 დაამარცხა. ჩვენიანმა ფორვარდმა ალექსანდრე იაშვილმა კი მორიგი გოლი გაიტანა და 13 საგოლე პასთან ერთად რვა გოლიც მოუგროვდა. ამ მაჩვენებლით იაშვილი მეორე ბუნდესლიგაში მეორეა და თამაშის ხარისხითაც ლიგის საუკეთესოებში ითვლება. „ფრაიბურგი“ კი იაშვილის გარეშე წარმოუდგენელი რომ არის, ეს ჩვენს გერმანელ კოლეგებს აქამდეც ხშირად უთქვამთ. თუმცა როგორ იქნება მომავალი სეზონიდან, ეს კიდევ საკითხავია, ჩვენიანს „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი უმთავრდება და...

— „ფრაიბურგიდან“ წასვლაზე უკვე სერიოზულად დავფიქრდი. აქამდეც რამდენჯერმე ყოფილა, რომ უკეთეს გუნდებს მოუმართავთ კონკრეტული წინადადებებით, მაგრამ ბოლო მომენტში გადამიფიქრებია და გუნდს დღემდე შემოვრჩი. „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაც არ მაძლევდა იმის საშუალებას, გუნდი უკანმოუხედავად დამეტოვებინა. ამიტომაც იყო, „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი უკვე ორჯერ რომ გავაგრძელე. მაგრამ ახლა იგივეს გაკეთებას აღარ ვაპირებ. სეზონის დამთავრებასთან ერთად ჩემი და „ფრაიბურგის“ კონტრაქტიც მთავრდება.

— როგორც ვიცით, ბუნდესლიგის რამდენიმე გუნდი უკვე იწყებს შენთან მოლაპარაკებას.

— თავადაც ასე ვიცი. ჩემი გადაბირებით დაინტერესებული გუნდების წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ აგენტს, რომელიც მომავალ ტრანსფერზე მუშაობს. ამჟამად რა სტადიაშია ეს საქმე, ვერ გეტყვით, თუმცა ვიცი, რომ მოლაპარაკებები უკვე დაიწყო.

— იქნებ გვითხრა, რომელი გუნდები არიან დაინტერესებულნი?

— თქმას რა აზრი აქვს?! ბუნდესლიგის რამდენიმე გუნდიდან არის დაინტერესება. ცხადია, ჩემთვის მთავარი მომავალი გუნდის ავტორიტეტი და ის პირობები იქნება, რომელსაც შემომთავაზებენ. ჯერჯერობით კი საქმე აქამდე არ მისულა. სეზონის შემდეგ ვნახოთ, რა გამოვა. შესაძლოა, ისეთი გუნდიც დამიკავშირდეს, საიდანაც ჯერ არაფერი ისმის. ამიტომაც ვიკავებ თავს დაინტერესებული გუნდების დასახელებისგან.

— „ფრაიბურგთან“ კონტრაქტს არც იმ შემთხვევაში გააგრძელებ, თუ გუნდი ბუნდესლიგაში დაბრუნდება?

— ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ 90 პროცენტია იმის შანსი, რომ „ფრაიბურგი“ დავტოვო.

— არადა, „ბურგჰაუზენის“ დამარცხების შემდეგ საბუნდესლიგო შანსები „ფრაიბურგს“ უფრო გაეზარდა.

— გეთანხმებით, მართლაც მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. „ბურგჰაუზენი“ აუტსაიდერი კი არის, მაგრამ პირველ წრეში სწორედ ასეთ გუნდებთან ვკარგავდით ქულებს და ამიტომაცაა ახლა სათუო „ფრაიბურგის“ ბუნდესლიგაში გადასვლა. აუტსაიდერებთან 10-12 ქულა გვაქვს დაკარგული. ის ქულები რომ გვქონდეს, ისე, როგორც „კარლსრუეს“, ჩვენც თითქმის განაღდებული გვექნებოდა ბუნდესლიგის საგზური.

— ისე, „ფრაიბურგს“ კონკურენტებთან შედარებით დარჩენილი მატჩების უკეთესი კალენდარი აქვს.

— ეგაც ჩვენი უპირატესობაა. დარჩენილ შვიდ მატჩში ლიდერთაგან მხოლოდ „კარლსრუეს“ ვხვდებით, ეს მატჩი ბოლოსწინა ტურშია და იქამდე „კარლსრუე“ თავის საქმეს ალბათ მოაგვარებს. ერთი რთული შეხვედრა კი მომდევნო ტურში „აუგსბურგთან“ გვაქვს, ეს გუნდი სამი ქულით ჩამოგვრჩება და ძალიან მნიშვნელოვანი თამაშის მოლოდინში ვართ.

— ნაოპერაციევი ოთარ ხიზანეიშვილი როგორაა?

— უკეთ. მსუბუქად ვარჯიში უკვე დაიწყო და ფორმის აღდგენა თუ არ გაუჭირდა, იქნებ „აუგსბურგთან“ ითამაშოს კიდეც.

— მოდი, ერთი-ორი სიტყვა ნაკრებზეც გვითხარი, მით უმეტეს, ფარერებთან საქართველომ სწორედ შენი გოლებით მოიგო. რა მოხდა იმ მატჩისას?

— არაფერიც არ მომხდარა, ფსიქოლოგიურად სათანადო განწყობა არ გვქონდა და ეგ იყო, რამაც პრობლემები შეგვიქმნა. ცხადია, თამაშის ხარისხით ყველანი უკმაყოფილონი ვართ, თუმცა ორ კვირაში ეს უკვე არავის ეხსომება, შედეგი კი სტატისტიკაში დარჩება. ისე, თუ მიაქციეთ ყურადღება, ჩვენ რომ ფარერებს ვეთამაშებოდით, იმ დღეს ინგლისმაც გაჭირვებით მოუგო ანდორას, ლიხტენშტაინმა ლატვია დაამარცხა, მოგება გაუჭირდა ჩეხეთსაც კვიპროსთან... მოკლედ, დღევანდელ ფეხბურთში სენსაციები არცთუ იშვიათობაა. ჩვენ კი ცუდი თამაშის მიუხედავად მოვიგეთ და მთავარიც ეს არის. სხვა მეტოქესთან სათამაშოდ კი ფსიქოლოგიურადაც უკეთ მოვემზადებით.

**კობა ინასარიძე**

# ზურაბ მენთეშაშვილმა უგუნდობა დაასრულა
## იურმალაში სპარტაკელი ქართველი გამოჩნდა



**ზურაბ** მენთეშაშვილმა ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი ლატვიურ „ვენტსპილსთან“. 27 წლის მენთეშაშვილის ამ კლუბში შესაძლო გადასვლაზე ოროდე დღის წინაც ვწერდით, გუშინ კი კლუბმა და ფეხბურთელმა ყველა დეტალი მოაგვარეს.

ზურაბი საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერის დიდი ნდობით სარგებლობს — მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩამშლელი ყაიდის ნახევარმცველი ოთხი თვე უგუნდოდ იყო, ტოპმიოლერმა შოტლანდიასთანაც და ფარერებთანაც ათამაშა.

მენთეშაშვილი ბოლოს „შინიკში“ თამაშობდა, წლეულს კი ჯერ ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ აპირებდა გადასვლას, მერე კი რიგის „სკონტოში“. „შინიკში“ შარშან ზაფხულს გადავიდა „სკონტოდან“, სადაც ექვსი წელი გაუტარებია და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ.

„ვენტსპილსში“ ზურაბის გარდა, კიდევ ერთი ქართველია — 19 წლის ნახევარმცველი ლევან ჯღარკავა. ამ კლუბში ადრეც უთამაშია ერთ ჩვენებურს — საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ალეკო რეხვიაშვილმა იქ ოთხი სეზონი გაატარა.

ლატვიის ჩემპიონატი ამ უქმეებზე იწყება, პარალელურად კი „ვენტსპილსი“ ბალტიის ლიგაშიც თამაშობს და მეოთხედფინალშიცაა გასული.

და კიდევ ერთ „ლატვიელ ქართველზე“: „იურმალამ“ 20 წლის თავდამსხმელი ოთარ გოგბერაშვილი აიყვანა, ვინც შარშან მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლებში ირიცხებოდა.

**ილია ნანობაშვილი**

# რა მრგვალია და რა ოხერია ბურთი
## დემეს კაეშანი: მე მკვდარი ვიყავ მწუხარებისგან

**უკრაინის** ჩემპიონატის მეორე წრის სამი ტური ისე გავიდა, დონეცკის „მეტალურგის“ მწვრთნელ კო ადრიანსეს გიორგი დემეტრაძე ერთხელაც არ შეუყვანია მოედანზე. მხოლოდ გუშინწინ, მეოთხე ტურში ლვოვის „კარპატისთან“ 3:3 ნათამაშევ მატჩში დაჰყო დემემ ბოლო 15 წუთი მოედანზე.

ნამატჩევს უკრაინელმა ჟურნალისტმა ჩვენიანს მცირე ინტერვიუ ჩამოართვა...

— გულშემატკივრებს თამაში მოეწონებოდათ. უკრაინის ჩემპიონატში ხშირად როდი ნახავთ ერთ მატჩში გატანილ ექვს გოლს.

**— თუმც პირველ ტაიმში ტემპი დაბალი იყო. რა არის ამის მიზეზი?**

— ალბათ, ორივე გუნდმა ერთი მიზანი დაისახა — მეტოქის საკუთარ ნახევარზე შეტყუება. შესვენების შემდეგ კი სისწრაფემაც იმატა და სანახაობრიობამაც.

**— მატჩის მიწურულს მშვენიერი საგოლე შანსი გქონდათ...**

— ბოლო წუთზე რომ შანსს გაუშვებ, ეს ორმაგად საწყენია. თითქოს ყველაფერი სწორად გავაკეთე: მცველს კორპუსი ჩავუდგი, ნორმალურადაც დავარტყი, მაგრამ ბურთმა დამცინა თუ რა იყო, ხარიხას გადაევლო. რას იზამ, ასეთებიც ხდება.



**— ასევე ნაწყენი იქნებით შოტლანდიაში სანაკრებო თამაშის წაგების გამო...**

— არ გამახსენოთ, მთელი გუნდი მკვდარი იყო მწუხარებისგან. თავისუფლად შეგვეძლო გაძლება, წუთი არ გვეყო. თანაც, ქულა რომ აგველო, უკრაინის ნაკრებსაც დავეხმარებოდით.

# რატის დილემა: არ ვიცი, რომელი უკეთესია
## ტოპმიოლერით სულ სხვაა

**„ამერის“ 19 წლის რატი წინამძღვრიშვილი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფორვარდია საქართველოს ჩემპიონატში. ტიპიური გოლზე დაგეშილი თავდამსხმელი — ასეთია რატი, რომლის მძლავრ ცაციას ბევრი გუნდი დაუმწუხრებია. ახლაც, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა რამდენიმე დღის წინ დაასრულა გერმანული შეკრება, სადაც წინამძღვრიშვილმა სამ ტესტ-მატჩში სამი გოლი შეაგდო. რატის ამ შეკრებაზე და „ამერის“ ბოლოდროინდელ წარუმატებელ თამაშებზეც ვესაუბრეთ...**



— მაისის ბოლოს ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდი გველის შოტლანდიაში და გერმანული შეკრებაც სწორედ ამისთვის ჩატარდა. ნაკრებს დაწყობა, შეთამაშება სჭირდებოდა და ვფიქრობ, კარგად მოვემზადეთ.

**— შეკრებაზე ყველაზე რთული თამაში გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებთან გქონდათ...**

— 0:2 წავაგეთ, მაგრამ თითქმის თანაბარი თამაში იყო და მეტოქეზე არანაკლები მომენტი გვქონდა. პირველი გოლი ბავშვური შეცდომით გავუშვით, მერე კი ჩვენც გავიტანეთ და ანგარიში 1:1 ხდებოდა. თქვეს, სუფთა გოლი იყოო, არადა, თამაშგარეს გამო გაგვიუქმეს.

**— გერმანელი თანატოლები ფიზიკურად ბევრად გჯობდნენ?**

— ამას ვერ ვიტყვი. უბრალოდ, გერმანელები ძალიან რაციონალურად, ორ შეხებაში თამაშობდნენ და კაცის მოტყუებაზე არ მიდიოდნენ. ქართველები ტექნიკით ვჯობდით გერმანელებს, მაგრამ არ ვიცი, რომელი უკეთესია — ტექნიკა თუ ორგანიზაცია...

**— ლუქსემბურგულ გუნდებთან ორი თამაშიდან ორივე მოიგეთ...**

— ლუქსემბურგის 19-წლამდელთა ნაკრებს მოუგესო, ითქვა, მაგრამ 21-წლამდელებს ვეთამაშეთ — ნორმალური გუნდი იყო, ცოტა გაგვიჭირდა. აი, ლუქსემბურგის კლუბი კი აშკარად სუსტი აღმოჩნდა და დიდი ანგარიშით გამარჯვებაც შეგვეძლო.

**— ნაკრების ოთხი გატანილი გოლიდან სამი შენზე მოდის...**

— ერთხელ ლევან ყენიას, ერთხელაც ნიკა კვასხვაძის პასებით გავიტანე, ერთიც პენალტით შევაგდე. სამწუხაროდ, ტრავმას ვერ გადავურჩი — ლუქსემბურგელებთან თამაშში ფეხი გამისივდა და ახლაც ვერ ვვარჯიშობ.

**— დიდი ხანი გაგიცდება?**

— არა, სირბილი დავიწყე, დღეს ხვალ ბურთით ვივარჯიშებ, და, წესით, 7 აპრილს უნდა ვითამაშო.

**— გერმანული შეკრება 19-წლამდელთა ელიტ-რაუნდისთვის მოსამზადებლად გაიმართა და ბარემ, ჯგუფზეც ვთქვათ. შოტლანდია, თურქეთი, პორტუგალია — ნაკრების თავკაც ჰაინც ტოპმიოლერს რამდენად ეიმედება პირველ ადგილზე გასვლა და ფინალურ ეტაპზე მოხვედრა?**

— უიმედოდ ნამდვილად არ ვართ. მარტო ის რად ღირს, რომ 19-წლამდელთა მინიმუმ ათი ფეხბურთელი 21-წლამდელთა ნაკრების წევრებადაც ვითვლებით. მგონია, რომ ფინალურ ეტაპზე გასვლა შეგვიძლია.

**— ორივე ასაკობრივი ნაკრები პლუს „ამერი“ — ამდენი თამაშით გადაღლილი ხომ არ ხარ?**

— არა, ეს პრობლემა არ მაწუხებს

**— ახლა „ამერზეც“ ვთქვათ: მეორე წრეში ჩატარებულ ხუთ ტურში მხოლოდ 7 ქულა აიღეთ, რაც ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისთვის ცოტაა...**

— არ ვიცი, ვერ ვხვდებით წარუმატებლობის მიზეზებს, რაღაცნაირად არ მივდის თამაში. თითქოს მომენტებს ვქმნით, უპირატესობას ვფლობთ, მაგრამ უაზროდ ვუშვებთ გოლს... იმედი მაქვს, ეს ჩავარდნა დროებითია.

**— ლიდერს რვა ქულით ჩამორჩით. „ოლიმპს“ უფრო მიიჩნევ ფავორიტად თუ „დინამოს“?**

— უფრო „ოლიმპს“.

**— საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი სამ-ოთხჯერ დასწრებია „ამერის“ მატჩებს, თუმც მან ისიც თქვა, ქართული გუნდებიდან ეროვნულ ნაკრებს ფეხბურთელი ვერ გამოადგებაო. პირადად შენ რამდენად გემატება სტიმული, როცა ტოპმიოლერი ესწრება „ამერის“ თამაშებს?**

— სტიმული მემატება რომელია... დარწმუნებული ვარ, ამ დროს სხვა ფეხბურთელებიც ჩემსავით არიან და სხვა მონდომებით თამაშობენ.

**ილია ნანობაშვილი**

# გოგუამ დაიწყო

**ფარერელებთან** მატჩის წინ მიღებული ტვინის შერყევის გამო გოგიტა გოგუა კარგა ხნით უქმობდა, გუშინ კი ვარჯიშს შეუდგა.

წოლითმა რეჟიმმა გოგუას რამენსკოეში გამგზავრება შეაფერხა, „სატურნს“ ორშაბათს შეუერთდა და გუშინდლიდან ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

გოგიტამ რუსეთის პრემიერლიგის სამ ტურში ორი თამაშის გამოტოვება უკვე მოასწრო — ერთი დისკვალიფიკაციის, ერთიც ტრავმის გამო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# წავალ ისევ, ისევ ვცდი ბედს

## დავით გიგაური: სხვა რა, სტიმული გვინდა

**საჩხერის „ჩიხურამ“ გორში, „ქართლზე“ „ზესტაფონთან“ ფრეს გამოჰკრა ხელი. „ჩიხურას“ 21 წლის მცველი დავით გიგაური ამ შეხვედრაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ფეროელები, გეცოდინებათ, მატჩის გადათამაშებას ითხოვენ და გიგაურთან სწორედ ამით დავიწყეთ საუბარი...**



— „ზესტაფონს“ ტოლ-სწორად ვეთამაშეთ და ფრე ლოგიკური იყო. ახლა იძახიან, კარი პატარა იყოო — ეგ, მგონი, ზესტაფონელთა განაწყენებული მწვრთნელისგან თავის მართლებას ჰგავს. „ქართლზე“ თუ კარები გაზომილი არ იყო, საერთოდ რატომ დაგვრთეს თამაშის უფლება?!

**— „ჩიხურაში“ „დინამოდან“ გაგანათხოვრეს. ისევ თბილისურ კლუბში აპირებ დაბრუნებას თუ უცხოეთში გინდა წასვლა?**

— სეზონის ბოლოს „დინამოსთან“ კონტრაქტი მიმთავრდება და თავისუფალი აგენტი ვიქნები. „დინამოში“ ყოფნისას სამწლიანი კონტრაქტი და ისეთი პირობები შემომთავაზეს, რომ უარი ვთქვი და ამიტომაც აღარ მათამაშებდნენ.

**— ლატვიურ „ვენტსპილსშიც“ იყავი გასინჯვაზე...**

— იმ დროს არ მოხერხდა „ვენტსპილსში“ გადასვლა, მაგრამ სეზონის ბოლოს ისევ მივდივარ ლატვიაში.

**— „ჩიხურაში“ როგორ აღმოჩნდი?**

— ხვიჩა ქასრაშვილი „დინამო 3-ში“ იყო ჩემი მწვრთნელი, მან საჩხერულ კლუბში გადასვლა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. თანაც, აქ ბევრი ყოფილი დინამოელი თამაშობს.

**— დარჩება „ჩიხურა“ უმაღლეს ლიგაში?**

— მომდევნო ორი შეხვედრა უშუალო კონკურენტებთან — „ლოკომოტივთან“ და „მერანთან“ გვაქვს და თუ ქულებს არ დავკარგავთ, შეიძლება პლეი ოფსაც ავცდეთ.

**— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გითამაშია. ახლა კი აღარ გიძახებენ...**

— სამწუხაროდ, ასეა. ასაკით ისევ მიწევს თამაში, მაგრამ აღარ მიწვევენ. ისე კი, ჩემი ოცნება ეროვნულ ნაკრებში თამაშია და თავს არ დავზოგავ, რათა ეს ოცნება ავისრულო.

**— კლაუს ტოპმიოლერი ეროვნულ ჩემპიონატს ნამეტანი კრიტიკულად უყურებს. ეჭვი არაა, საქართველოში მოთამაშე ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ნაკრების მწვრთნელის ასეთი პოზიცია გულსატკენია?**

— აშკარად მეტი სტიმული გაქვს, როცა იცი, რომ ნაკრებში მოხვედრის შანსი აქედანაც არსებობს. ჩემი აზრით, ჩვენს ჩემპიონატში არის რამდენიმე ფეხბურთელი, რომელიც ეროვნულ ნაკრებში გასინჯვას მაინც იმსახურებს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბაია 18 ათასს უმიზნებს

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები 6-10 აპრილს პორტუგალიაში, საერთაშორისო ტურნირზე მიემგზავრება და გუნდის თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა სხვათა გარდა ზუგდიდის „ბაიას“ ორ ფეხბურთელსაც უხმო — ნიკა ძალამიძეს და ირაკლი შეყილაძეს.

პერიფერიაში ნორმალური საფეხბურთო სკოლის არსებობა უბრალო ამბავი არ არის — ასეთია რეალობა და ჩვენც დავინტერესდით, როგორი კლუბია „ბაია“.

„ბაია“ 2006 წელს დააარსა მოსკოვში მოსაქმე ზუგდიდელმა ბიზნესმენმა ზვიად სიჭინავამ. 2003 წლიდან ვალერი გულორდავა ზუგდიდში ავარჯიშებდა ბავშვებს, მაგრამ მის გუნდს არც სახელი ერქვა და არც ინფრასტრუქტურა გააჩნდა. ამ გუნდში მოთამაშეთა ბაზაზე შეიქმნა „ბაია“, რომლის მთავარი მწვრთნელი სწორედ გულორდავაა.

სკოლის დირექტორი კი ფელიქს კუჭუხიძეა, რომლისგანაც შევიტყვეთ, რომ „ბაია“ ახლა ზუგდიდთან ახლოს, სოფელ კახათში ვარჯიშობს, იქ, სადაც პირველი ლიგის ლიდერი, ზუგდიდის „მგლები“ ვარჯიშობს და თამაშობს.

„ბაია“ ჯერჯერობით მხოლოდ საფეხბურთო სკოლაა, მაგრამ 2008 წლიდან რეგიონულ ლიგაში აპირებს გუნდის გაყვანას, რათა შემდგომ უმაღლესლიგელი გახდეს. „ბაია“ ზუგდიდთან ახლოს ბაზას იშენებს და მშენებლობის დასრულების შემდეგ სკოლა-ინტერნატიც ექნება — მთელი საქართველოდან მიიწვევს ნიჭიერ ბავშვებს.

ბაიელთა გეგმები ამით არ იწურება — ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე დაწყებულია სამუშაოები ახალი არენის ასაგებად — „ბაიას“ უკვე აქვს ახალი სტადიონის მაკეტი, რომლის ტევადობა 18 000 იქნება. კუჭუხიძემ გვითხრა, აგვისტოდან ამ სტადიონზე თამაში შესაძლებელი იქნება, მთლიანად მშენებლობა კი ხუთ წელიწადში დასრულდებაო.

ეს სტადიონი „ბაიას“ მფლობელობაში 49-წლიანი იჯარით იქნება. შეთანხმების საფუძველზე ამ სტადიონზე ითამაშებს „მგლებიც“, რომელსაც ზუგდიდის რაიონული ბიუჯეტი აფინანსებს.

„ბაიაში“ ახლა 1992-2000 წელს დაბადებული 150 ბავშვი ვარჯიშობს, მეცადინეობა ჯერჯერობით უფასოა.

ამ ზუგდიდურ კლუბს უკვე აქვს თავისი ვებგვერდიც, თუმც ჯერ მხოლოდ რუსული.

**დავით თამართძილაძე**



ფელიქს კუჭუხიძე




ქუთაისის „ტორპედო“ წინა ტურში გორს მთლად ბავშვებით ეწვია და ქართლელებს მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა, „დილამ“ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. რა მიზეზით ჩავიდა ქუთაისური გუნდი ფარმკლუბით გორში და რატომ არ ითამაშეს ძირითადის ფეხბურთელებმა? საით მიდის „ტორპედოს“ საქმე და რა იქნება მომავალში? გუშინ ამ თემებზე სასაუბროდ რიონისპირელთა პრესსამსახურის უფროს გოგა მინდელს შევეხმიანეთ...

# უფალო, შემიწყალე უფულო

## ტორპედოს კომუნალურად შეუნდეს

**— უფულობით გულაცრუებულმა ფეხბურთელებმა გორში არ ითამაშეს, წინა დღეს ისიც არ იყო ცნობილი, წავიდოდა თუ არა გუნდი თამაშზე. მომავალი ტურისთვის „ამერთან“ ყველა ითამაშებს... ისე, გორში ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მონდომებით ითამაშეს და ცოტა მეტი ოსტატობა და გამოცდილება რომ ჰქონდათ, არ წააგებდნენ.**

**— ქალაქის ხელმძღვანელობა გარკვეულ დახმარებას რომ დაგპირდათ, სიტყვა შეასრულა?**

— ბაზაზე და სტადიონზე კომუნალური დავალიანება მოგვიხსნეს. ასევე უზრუნველყოფილია ამ ობიექტების დაცვა. მეტის იურიდიული უფლება არც მათ აქვთ.

**— გორში რა სახსრებით ჩახვედით?**

— კლუბის დირექტორატი თავად ჯიბით აკოწიწებს გზის ფულს და გუნდიც ასე წვალებ-წვალებით ჩადის თამაშებზე.

**— სახელფასო დავალიანების გამო ძირითადი ბირთვის შენარჩუნება არ გაჭირდება?**

— ბიჭები ცდილობენ, როგორმე ენთუზიაზმის ხარჯზე გაძლონ, თან ვარჯიშით ფორმასაც ინარჩუნებენ. თუ სახსრები გამოჩნდა, დარჩებიან „ტორპედოში“, თუ არა, სხვაგან გადავლენ. ამ სეზონში მარტო ფარმკლუბის გუნდითაც რომ ვითამაშოთ, გავარდნით არ გავვარდებით, მერე კი ღმერთის იმედად უნდა ვიყოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




**ზაზა ზირაქიშვილს** კარიერაში ათზე მეტი გუნდი გამოუცვლია და, აი, კიდევ ერთი: 31 წლის ფორვარდი ჩემპიონატის ბოლომდე თბილისის „მერანში“ ითამაშებს. ბოლო ტურში „ოლიმპთან“ წაგებული თამაშის შემდეგ მერანელთა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ თავდასხმაზე დაიჩივლა, ერთი კარგი ფორვარდი აუცილებლად გვჭირდებაო და, წესით, ზირაქიშვილი პატარა ძალა არ უნდა იყოს.

ზაზა სეზონის დასრულების შემდეგ ისრაელში აპირებს წასვლას: „ისრაელის პირველი ლიგის გუნდზეა ლაპარაკი. იქ უკვე ვიყავი ჩასული, ამხანაგური მატჩებიც ვითამაშე და კლუბის ხელმძღვანელობას შევუთანხმდი, რომ ზაფხულში ისევ ჩავალ მოსალაპარაკებლად. ცოტა უთამაშებელი კი ვარ, მაგრამ არა მგონია, საქართველოს ჩემპიონატში გამიჭირდეს“.

ზირაქიშვილს არაერთი კარგი სეზონი ჰქონია ჩვენს ჩემპიონატში, შარშანწინ „ზესტაფონის“ ერთ-ერთი მეგოლე იყო, მას შემდეგ კი „ბათუმსა“ და „თბილისშიც“ მოასწრო ცოტა ხნით თამაში.

„რატომ ავირჩიე „მერანი“? ამ კლუბის ვიცე-პრეზიდენტ მერაბ რატიანთან კარგი ურთიერთობა მაქვს, თანაც, მაინც წასვლას ვაპირებ და თვენახევარი-ორი თვე სად ვითამაშებდი, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა“ — გვითხრა ზაზამ.

**ლუკა თალაკვაძე**



# კაპელო ფეხბურთიდან მიდის!
## ამ ამბავმა მიატოვიჩს ტყემალი გაახსენა

**ესპანურ** პრესაში გავრცელებული ბოლო ცნობებით, ფაბიო კაპელო მადრიდის „რეალიდან“ კი არა, საერთოდ, ფეხბურთიდან აპირებს წასვლას. თავად იტალიელ ტაქტიკოსს ამ საკითხზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია და რის საფუძველზე გაავრცელეს პირინეულმა ჟურნალ-გაზეთებმა ეს ამბავი, უცნობია.

„მილანის“, „რომასა“ და „იუვენტუსის“ ყოფილ მწვრთნელს „რეალში“ საქმეები კარგად რომ ვერ წაუვიდა, არახალია — სამეფო გუნდი ესპანეთის თასსა და ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა, პრიმერადივიზიონში კი ლიდერ „ბარსელონას“ 5 ქულით ჩამორჩება.

ის, რომ კაპელო სეზონის ბოლოს „რეალიდან“ წავა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ცოტა ხნის წინ კლუბის პრეზიდენტმა რამონ კალდერონმაც თქვა, იგი ალბათ არ დარჩებაო.

და აი, ამ ყველაფერს ზემოთ ნახსენები ინფორმაცია მოჰყვა, მაგრამ მადრიდელთა დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი ტყემალზე შეჯდა: „თუ პრიმერადივიზიონს მოვიგებთ, კაპელოს დარჩენა ლოგიკური იქნება“.

**ქოქი ქანდელაკი**

# რა ფასი? რაფასი!

„**ლივერპულის**“ მწვრთნელ რაფა ბენიტესს კლუბის ახალმა მეპატრონეებმა 40 მილიონი გირვანქა მისცეს — ეს სატრანსფერო თანხაა.

ბენიტესი ამერიკელ მილიარდერებს, ჯორჯ ჯილეტსა და ტომ ჰიკსს ამ უქმეებზე შეხვდა.

„ჩვენ ერთმანეთს იდეები გავუზიარეთ და ძალიან კმაყოფილნი დავრჩით — უამბო ლივერპულელთა ესპანელმა მწვრთნელმა ჟურნალისტებს — ყველაფერს მეტად დადებითი ელფერი ჰქონდა და, ჩემი აზრით, ჩვენს თანამშრომლობას ჩინებული მომავალი აქვს. ამ ეტაპზე დეტალებზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან წინ ჩემპიონთა ლიგის თამაშია, მაგრამ მათ თქვეს, რომ ჩვენ სწორი გეზით წავალთ“.

ცნობისთვის: „ლივერპული“ ინგლისის 18-გზის ჩემპიონია და ამ 18 ტიტულიდან ბოლო 1990 წელს მოიპოვა.

ლივერპულელი ქომაგები შიშობდნენ, რომ ამერიკელი მეპატრონეები ძუნწები აღმოჩნდებოდნენ და ბენიტესს არ მისცემდნენ იმდენ ფულს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონის და „ჩელსის“ თავკაც ჟოზე მაურინიუს გადასაწონად რომ იქნებოდა საჭირო, მაგრამ შიშს დიდი თვალები აღმოაჩნდა და ახლა „ლივერპულს“ აქვს საკმარისი თანხა აქვს სამუელ ეტოოს, დავიდ ვილიას ან დანიელ ალვეშს რომ შეეთამაშოს.



**პაპუნა ძედია**

# დასხედით, თქვენი გადახდილია



„**სანდერლენდის**“ პატრონმა ნაილ ქუინმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და თავისი გუნდის გულშემატკივრები კარდიფიდან სანდერლენდში ტაქსებით ჩაიყვანა. ინგლისის ჩემპიონატში მოთამაშე „შავმა კატებმა“, რომელთაც როი კინი წვრთნის, „კარდიფს“ სტუმრად მოუგეს და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს პრემიერლიგისკენ. გამარჯვებით გახარებული ფანები ლუდით გაილეშნენ და თვითმფრინავში აღარ აუშვეს. დაახლოებით 80 მთვრალის სანდერლენდში ტაქსებით ჩაყვანა ქუინმა იკისრა — 20-მდე ავტომობილი დაიქირავა, 8 ათასი გირვანქა გადაიხადა და მთვრალები შინ დააბრუნა.

2003 წელს ქუინი სპორტში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვეს. გამოსათხოვარი მატჩიდან მიღებული მილიონი გირვანქა კი ქველმოქმედებაში დახარჯა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მოუმატეთ ჯერარდს!

**THE PEOPLE-ს** ცნობით, სტივენ ჯერარდი მალე ალბათ ახალ კონტრაქტს გააფორმებს „ლივერპულთან“ და კვირაში 100 ათას გირვანქაზე მეტს მიიღებს. ამჟამად კი 80 ათასი აქვს.

თუ ჯერარდს ხელშეკრულებას არ გაუხანგრძლივებენ, 2008-ის ივნისში მისი ყიდვა სხვა გუნდს 5 მილიონ გირვანქად შეეძლება.

მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ცდილობს, კლუბის ახალი შეფები ჯერარდის ხელფასის მომატებაზე დაითანხმოს.

## გაბრიელ კიდევსამიანი

**ბირმინგემის** „ასტონ ვილას“ ნახევარმცველ გაბრიელ აგბონლაჰორს ამ კვირაში კონტრაქტს სამი წლით გაუხანგრძლივებენ — წერს „დეილი მირორი“.

შარშან მან უკვე გააფორმა სამწლიანი ხელშეკრულება, მაგრამ ამ სეზონში ისე კარგად თამაშობს, რომ კლუბმა გადაწყვიტა, იგი დიდი ხნით დაიტოვოს.

## ააშენეთ და დაამშვენეთ!

„**ლივერპულის**“ შეფებმა, ჯორჯ ჯილეტმა და ტომ ჰიკსმა ქალაქის მთავრობისგან ახალი სტადიონის აშენების ნებართვა მიიღეს, რომელიც „ენფილდის“ გვერდით აიგება.

მშენებლობა ივლისში დაიწყება, 2008 წლის ბოლოს დასრულდება და სტადიონი 60 ათას კაცს დაიტევს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლუის ვან ინგლისი



**გამორიცხული** არ არის, მომავალ წელს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ლუის ვან გაალი გახდეს, რომელსაც გუშინწინ „ალკმაარმა“ ორი წლით გაუგრძელა ხელშეკრულება. მის კონტრაქტში წერია, რომ ინგლისიდან, არგენტინიდან, ესპანეთიდან, ჰოლანდიიდან ან გერმანიიდან წინადადების მიღების შემთხვევაში „ალკმაარი“ კომპენსაციის სანაცვლოდ მწვრთნელს გაუშვებს.

კომპენსაცია კი, როგორც „სანმა“ გაარკვია, 2 მილიონი გირვანქაა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

პრემიერლიგა. XXXI ტური

**ასტონ ვილა 1:1 ევერტონი**

0:1 ლესკოტი (15), 1:1 აგბონლაჰორი (83)

ასტონ ვილა: სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, გ. კეჰილი, ბუმა, აგბონლაჰორი, პეტროვი, მაკკანი (ბერგერი 46), ბერი, კარუუ, იანგი (მელოუნი 41)

მწვრთნელი: მარტინ ონილი

ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ოსმანი, კარსლი, ფ. ნევილი, არტეტა, ე. ჯონსონი, ვუგანი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: მაკკანი, მელბერგი, აგბონლაჰორი, ვუგანი, არტეტა, ლესკოტი

მსაჯი: ვები

36 407 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 31 | 25 | 3 | 3 | 74:21 | 78 |
| ჩელსი | 31 | 22 | 6 | 3 | 55:19 | 72 |
| ლივერპული | 31 | 17 | 6 | 8 | 48:21 | 57 |
| არსენალი | 30 | 16 | 7 | 7 | 52:28 | 55 |
| ბოლტონი | 31 | 15 | 5 | 11 | 36:38 | 50 |
| ტოტენჰემი | 31 | 14 | 6 | 11 | 44:44 | 48 |
| ევერტონი | 31 | 12 | 11 | 8 | 39:27 | 47 |
| რედინგი | 31 | 13 | 5 | 13 | 43:39 | 44 |
| პორტსმუთი | 31 | 11 | 10 | 10 | 37:32 | 43 |
| ბლექბერნი | 31 | 12 | 4 | 15 | 37:45 | 40 |
| ნიუკასლი | 31 | 10 | 7 | 14 | 34:40 | 37 |
| მიდლსბრო | 31 | 9 | 9 | 13 | 32:38 | 36 |
| სიტი | 30 | 10 | 6 | 14 | 23:34 | 36 |
| ასტონ ვილა | 31 | 7 | 14 | 10 | 30:36 | 35 |
| ფულემი | 31 | 7 | 14 | 10 | 32:45 | 35 |
| უიგანი | 31 | 9 | 6 | 16 | 30:45 | 33 |
| შეფილდი | 31 | 8 | 7 | 16 | 25:45 | 31 |
| ჩარლტონი | 31 | 8 | 6 | 17 | 29:49 | 30 |
| ვესტ ჰემი | 31 | 7 | 5 | 19 | 25:51 | 26 |
| უოტფორდი | 31 | 3 | 11 | 17 | 19:47 | 20 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVII ტური

**ლაუტერნი 0:3 დუისბურგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 27 | 17 | 6 | 4 | 58:31 | 57 |
| ჰანზა | 27 | 13 | 12 | 2 | 40:22 | 51 |
| დუისბურგი | 27 | 12 | 10 | 5 | 50:33 | 46 |
| ფიურტი | 27 | 13 | 6 | 8 | 44:30 | 45 |
| ფრაიბურგი | 27 | 12 | 9 | 6 | 41:33 | 45 |
| ლაუტერნი | 27 | 11 | 10 | 6 | 35:27 | 43 |
| აუგსბურგი | 27 | 11 | 9 | 7 | 34:23 | 42 |
| აუე | 27 | 13 | 3 | 11 | 40:38 | 42 |
| კიოლნი | 27 | 10 | 8 | 9 | 40:37 | 38 |
| მიუნხენი | 27 | 11 | 5 | 11 | 37:39 | 38 |
| პადერბორნი | 27 | 8 | 9 | 10 | 26:28 | 33 |
| კობლენცი | 27 | 8 | 8 | 11 | 28:36 | 32 |
| ოფენბახი | 27 | 8 | 6 | 13 | 34:43 | 30 |
| კარლ ცაისი | 27 | 6 | 8 | 13 | 28:46 | 26 |
| ბურგჰაუზენი | 27 | 6 | 8 | 13 | 33:53 | 26 |
| ესენი | 27 | 6 | 7 | 14 | 29:35 | 25 |
| უნტერჰახინგი | 27 | 6 | 7 | 14 | 25:40 | 25 |
| ბრაუნშვაიგი | 27 | 3 | 7 | 17 | 12:40 | 16 |

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XX ტური

**სპარტა 4:1 ბოლესლავი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 20 | 13 | 4 | 3 | 34:17 | 43 |
| სპარტა | 20 | 12 | 6 | 2 | 26:10 | 42 |
| ლიბერეცი | 20 | 11 | 6 | 3 | 28:12 | 39 |
| ბოლესლავი | 20 | 10 | 4 | 6 | 29:24 | 34 |
| იაბლონეცი | 20 | 7 | 8 | 5 | 24:20 | 29 |
| ბუდეიოვიცე | 20 | 8 | 5 | 7 | 20:27 | 29 |
| ბანიკი | 20 | 7 | 7 | 6 | 27:25 | 28 |
| ბრნო | 20 | 7 | 7 | 6 | 22:20 | 28 |
| პლზენი | 20 | 7 | 7 | 6 | 22:21 | 28 |
| ტეპლიცე | 20 | 6 | 8 | 6 | 33:28 | 26 |
| მოსტი | 20 | 4 | 10 | 6 | 21:24 | 22 |
| კლადნო | 20 | 5 | 6 | 9 | 17:28 | 21 |
| სიგმა | 20 | 5 | 3 | 12 | 21:30 | 18 |
| ზლინი | 20 | 3 | 7 | 10 | 11:23 | 16 |
| პრჟიბრამი | 20 | 2 | 9 | 9 | 11:23 | 15 |
| სლოვაცკო | 20 | 1 | 7 | 12 | 13:27 | 10 |

## პორტუგალია

სუპერლიგა

XXIII ტური

**სპორტინგი 2:0 ბეირა მარი**

1:0 აბელი (15), 2:0 ლიდსონი (33)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 23 | 17 | 2 | 4 | 47:13 | 53 |
| ბენფიკა | 23 | 16 | 4 | 3 | 44:16 | 52 |
| სპორტინგი | 23 | 14 | 7 | 2 | 35:13 | 49 |
| ბრაგა | 23 | 11 | 5 | 7 | 30:27 | 38 |
| ბელენენსეში | 23 | 11 | 4 | 8 | 26:20 | 37 |
| ნასიონალი | 23 | 9 | 5 | 9 | 32:28 | 32 |
| ფერეირა | 23 | 8 | 8 | 7 | 25:31 | 32 |
| ლეირია | 23 | 8 | 7 | 8 | 17:21 | 31 |
| ნავალი | 23 | 7 | 8 | 8 | 22:24 | 29 |
| მარიტიმუ | 23 | 8 | 5 | 10 | 27:31 | 29 |
| ბოავიშტა | 23 | 6 | 10 | 7 | 26:26 | 28 |
| ამადორა | 23 | 6 | 6 | 11 | 15:27 | 24 |
| აკადემიკა | 23 | 5 | 6 | 12 | 23:36 | 21 |
| სეტუბალი | 23 | 4 | 7 | 12 | 15:31 | 19 |
| ბეირა მარი | 23 | 2 | 9 | 12 | 21:45 | 15 |
| ავეში | 23 | 2 | 7 | 14 | 14:30 | 13 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი

XXX ტური

**რეიმსი 3:2 ლე ავრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 30 | 18 | 10 | 2 | 44:14 | 64 |
| კაენი | 30 | 16 | 11 | 3 | 54:30 | 59 |
| სტრასბური | 29 | 14 | 12 | 3 | 35:22 | 54 |
| ამიენი | 30 | 15 | 6 | 9 | 41:35 | 51 |
| ლე ავრი | 30 | 13 | 10 | 7 | 44:27 | 49 |
| ბასტია | 30 | 12 | 10 | 8 | 39:32 | 46 |
| შატორუ | 30 | 12 | 7 | 11 | 33:34 | 43 |
| დიჟონი | 30 | 11 | 9 | 10 | 30:35 | 42 |
| რეიმსი | 30 | 11 | 8 | 11 | 37:35 | 41 |
| გენიონი | 30 | 11 | 7 | 12 | 34:37 | 40 |
| გრენობლი | 29 | 9 | 12 | 8 | 38:33 | 39 |
| აიაჩო | 30 | 10 | 9 | 11 | 37:36 | 39 |
| ლიბურნი | 30 | 9 | 7 | 14 | 34:42 | 34 |
| მონპელიე | 30 | 8 | 9 | 13 | 32:37 | 33 |
| გენგამი | 30 | 7 | 11 | 12 | 31:35 | 32 |
| ბრესტი | 30 | 6 | 14 | 10 | 30:34 | 32 |
| ნიორი | 30 | 6 | 11 | 13 | 26:40 | 29 |
| კრეტეი | 30 | 6 | 11 | 13 | 22:38 | 29 |
| ისტრი | 30 | 6 | 8 | 16 | 23:46 | 26 |
| ტური | 30 | 5 | 6 | 19 | 24:46 | 21 |

## თურქეთი

სუპერლიგა. XXVI ტური

**ერჯიესი 0:1 ტრაბზონი**

**გენჩლერი 0:2 ბეშიქთაში**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 26 | 16 | 6 | 4 | 51:23 | 54 |
| ბეშიქთაში | 26 | 14 | 6 | 6 | 37:23 | 48 |
| გალათასარაი | 26 | 12 | 9 | 5 | 46:28 | 45 |
| ქაისერი | 26 | 10 | 10 | 6 | 39:32 | 40 |
| გენჩლერი | 26 | 11 | 5 | 10 | 31:29 | 38 |
| სივა | 26 | 11 | 5 | 10 | 32:34 | 38 |
| ტრაბზონი | 26 | 10 | 6 | 10 | 33:30 | 36 |
| ბურსა | 26 | 10 | 6 | 10 | 28:31 | 36 |
| ანთალია | 26 | 8 | 11 | 7 | 28:27 | 35 |
| ქონია | 26 | 9 | 8 | 9 | 33:33 | 35 |
| ანკარა | 26 | 7 | 13 | 6 | 29:28 | 34 |
| გაზიანთეფი | 26 | 9 | 7 | 10 | 25:31 | 34 |
| ანკარაგიუჯიუ | 26 | 8 | 8 | 10 | 26:27 | 32 |
| მანისა | 25 | 8 | 5 | 12 | 34:39 | 29 |
| რიზე | 26 | 8 | 5 | 13 | 23:29 | 29 |
| დენიზლი | 26 | 6 | 9 | 11 | 24:35 | 27 |
| ერჯიესი | 26 | 6 | 7 | 13 | 21:42 | 25 |
| საქარია | 25 | 3 | 8 | 14 | 17:36 | 17 |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. დღეს

# ძირს აბრამოვიჩის იმპერია!

**„სტემფორდ ბრიჯზე“** „ლამურების“ შემოსევას მთლად მშვიდად ვერ ეგებებიან. ცხადია, ესპანური მედია სიტუაციას მეტისმეტად აბუქებს, მაგრამ პრესის ეშმაკობას თავი რომ დავანებოთ, რომან აბრამოვიჩის ლონდონურ სამზარეულოში არეულობას მაინც შევამჩნევთ. ამბობენ, რომ რუსი და „ჩელსის“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ ერთმანეთს არ ელაპარაკებიან და მილიარდერს ერთი სული აქვს, პორტუგალიელი გააგდოს. რატომ გაირბინა ამ ორს შორის შავმა კატამ, ამას ახლა აღარ განვიხილავთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ აბრამოვიჩი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალზე მეტად იმაზე ფიქრობს, მაურინიუ სამომავლოდ ესპანელი ხუანდე რამოსით შეცვალოს თუ ჰოლანდიელი რონალდ კუმანით...

„ჩელსის“ „ვალენსიასთან“ ჯახში ნახევარმცველი მიკაელ ესიენი არ ეყოლება — განელი „ტოტენჰემთან“ მატჩში დაშავდა.

ესიენი, რომელიც კლოდ მაკელელესთან ერთად მაურინიუს გუნდის ღერძია, არც „უოტფორდთან“ ბოლო მატჩში გამოჩენილა. ის თამაში „ჩელსიმ“ სალომონ კალუს გვიანი გოლით მოიგო. კალუ კი ის კაცია, თავის დროზე, „ვალენსიასთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე ერთი ნაბიჯი რომ აკლდა და საბოლოოდ „სტემფორდ ბრიჯი“ აირჩია.

მთლად ჯანზე ვერ არიან არიენ რობენი და ჯო კოული — ესენი ალბათ ვერ ითამაშებენ.

„ვიცით, რომ „ჩელსი“ ცუდ ფორმაშია და იმედია, ასეც გაგრძელდება. ახლავე მოვაწერ ხელს „მანჩესტერთან“ ფინალს. ეს გუნდი ევროპაში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს“ — თქვა „ვალენსიას“ მოიერიშე დავიდ ვილიამ.

სტუმართა მთავარი დანაკლისი ესპანეთ — ისლანდიის მატჩში ძვლს შეჯახებული ფერნანდო მორიენტესია. „ელ მორომ“ ჟურნალისტებთან შეხვედრაში ტრავმის და ლონდონური მატჩის გამოტოვების გამო დაიჩივლა და ფორმაში ვერმყოფი მეტოქეც შეიცოდა — ასე ცუდად მოთამაშე ბალაკის და შევჩენკოს ყურება საცოდაობააო.

„ელ მოროს“ გარდა, სამხრეთელებს დღეს ბარახა, რეგეირო, გავილანი, ედუ, მარჩენა და დავიდ ნავარო გამოაკლდებიან. თუმცა „ვალენსია“ მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი. იქაურმა გაზეთებმა ბაირაღად აღმართეს ლოზუნგი — „აბრამოვიჩის იმპერიის წინააღმდეგ“, ხოლო კიკე სანჩეს ფლორესმა ლონდონში წასვლამდე თქვა: „მეტოქე ძლიერია, მაგრამ ორი მატჩის ჯამში ჩვენი გამარჯვებისა მჯერა...“

**ლადო ხომერიკი**

**ჩელსი (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი:** ჩეხი, დიარა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მიკელი, მაკელელე, ლამპარდი, ბალაკი, დროგბა, შევჩენკო

**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ხოაკინი, ალბელდა, უგო ვიანა, დ. სილვა, ანგულო, ვილია

**მწვრთნელი:** კიკე სანჩეს ფლორესი

**მსაჯი:** ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

# ღამურაჭამია ლომები

დიდიე დროგბა — თუ ესპანურ „ვალენსიას“ დღეს „სტემფორდ ბრიჯიდან“ იოლად გაღწევა უნდა, ლონდონელთა მძლეთამძლე აფრიკელი თავდამსხმელი უნდა შებოჭოს. დროგბამ ამ სეზონში უკვე 29 გოლი შეაგდო და მიღწეულზე გაჩერებას სულაც არ აპირებს.

## დიდიე დროგბა ოცნებებში გაიხლართა



— „ვალენსიას“ ვაფასებ, მაგრამ წლევანდელი ლიგა მარტო „ჩელსისთვის“ მემეტება — უთხრა დიდიემ ჟურნალისტებს.

**— მეოთხედფინალებში თქვენი ფავორიტები ვინ არიან?**

— ჩემთვის ფავორიტი ჩემივე გუნდია, თუმც მეოთხედფინალებში ევროპის საუკეთესონი არიან დარჩენილები და ამიტომ ბრძოლა უშელავათო იქნება. ამ ეტაპზე შემთხვევითი გუნდი ვერ მოხვდება — რახან მეოთხედფინალში ხარ, ესე იგი, ეს დაიმსახურე.

**— როცა „მარსელში“ თამაშობდით, „ვალენსიასთან“ უეფას თასის ფინალი წააგეთ. ამ მატჩს რევანშის წყურვილით ელით?**

— არა, რადგან იმ მატჩიდან უკვე სამი წელი გავიდა და ბევრი რამ მოხდა ისეთი, რასაც უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ახლა სხვა დროა. აი, ისევ „მარსელში“ რომ ვიყო და კვლავ „ვალენსიას“ ვეთამაშებოდეთ, სულ სხვა ამბავი იქნებოდა.

**— უეფას თასის ფინალშიც და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც რობერტო აიალას წინააღმდეგ ითამაშეთ. რას გვეტყვით მასზე?**

— აიალა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. მას, ჯონ ტერის და უილიამ გალასს საუკეთესოებად მივიჩნევ.

**— ჩემპიონთა ლიგაში თუ სხვა ტურნირებში ბრწყინავთ, ესპანელებს კი მეგოლე დავიდ ვილია ჰყავთ...**

— არა მგონია, მარტო თავდამსხმელებზე საუბარი გამართლებული იყოს. ცხადია, მეგოლეებს ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს, მაგრამ „ჩელსის“ და „ვალენსიას“ სხვა პოზიციებზეც შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავთ.

**— ინგლისურ პრესაში დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ვილია „ჩელსის“ სატრანსფერო მიზანია. რას ფიქრობთ ვილიასთან ერთად თამაშის პერსპექტივაზე?**

— შემიძლია, გულწრფელად გითხრათ: პრესას ყურადღებას ნაკლებად ვაქცევ. ვილიაზე კი გეტყვით, რომ დიდი ფეხბურთელია.

**— მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი „მესტალიაზე“ უნდა გამართოთ, საიდანაც „ინტერი“ უკვე დაითხოვეს. ეს „ვალენსიასთვის“ დამატებითი შანსია?**

— რა თქმა უნდა. როცა საპასუხო მატჩს შინ თამაშობ, უპირატესობას ფლობ. და თუ ეს არენა „მესტალიასნაირი“ ჯადოსნური ატმოსფეროს მქონეა, მოწინააღმდეგეს ორმაგად ურთულდება საქმე. ამიტომაც „ჩელსიმ“ პირველ მატჩს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, სიტუაციის გაჯანჯლება და გამარჯვებულის ვინაობის „მესტალიაზე“ გარკვევა კარგს არაფერს მოგვიტანს.

**— რა ანგარიშს დათანხმდებით?**

— რა გითხრათ, დიდი ანგარიშით გამარჯვება ყოველთვის კარგია, მაგრამ „ვალენსიასთან“ ამის მიღწევა ძნელია. კმაყოფილი ვიქნები, თუ „ჩელსი“ მოიგებს, ვალენსიელები კი გოლს ვერ შეაგდებენ.

**— პრემიერლიგას ისევ „მანჩესტერი“ ლიდერობს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ სეზონში „ჩელსის“ უმთავრესი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა...**

— ჩვენ ყველა ტურნირზე გამარჯვება გვინდა. ლიგის თასი უკვე მოვიგეთ — ეს ჯერჯერობით ერთადერთი დასრულებული ტურნირია. ვაპირებთ, მოვიგოთ პრემიერლიგა, ასოციაციის თასი და ჩემპიონთა ლიგა — ყველაფრისთვის ვიბრძოლებთ, რადგან საამისო ძალა შეგვწევს. არ ვიცი, ბოლოს რა იქნება, მაგრამ ახლა ყველა ჯილდო ერთნაირად მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

**— როგორც „ჩელსის“, ისე „ვალენსიას“, ჯილდოთა სიმცირე არ აწუხებთ — თავიანთი ქვეყნის ჩემპიონობაც მოუგიათ და ევროპის საუკეთესოთა შორისაც ითვლებიან, თუმცა ლიგა ამ გუნდებისთვის გადაულახავ ბარიერად რჩება...**

— ვერ გეტყვით, „ჩელსისთვის“ როგორ, მაგრამ ჩემთვის რომ ჩემპიონთა თასი მართლაც ოცნებაა, ამას წყალი არ გაუვა. ძალიან მინდა მოგება და თუ ეს შევძელით, „ჩელსი“ ისტორიაში შევა.

**— ესპანურ გუნდებთან ცუდი შედეგები არ გაქვთ — ჯგუფში „ბარსელონასთან“ ერთად იყავით და გაასწარით კიდეც. თქვენი აზრით, „ვალენსიასთან“ ბრძოლაში ბარსელონური გამოცდილება გადამწყვეტ როლს ითამაშებს?**

— „ბარსასთან“ მიღებული გამოცდილება გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებს, რადგან „ვალენსია“ და „ბარსელონა“ სრულიად განსხვავებული გუნდები არიან. ვერ გეტყვით, რომელია ამ ორში უფრო ძლიერი. „ბარსა“ ძალიან ლამაზად თამაშობს, „ვალენსია“ კი ფიზიკურ მომზადებას აქცევს მეტ ყურადღებას. ადვილი არც „ბარსას“ დამარცხება ყოფილა და „ღამურებთან“ მოგებაც გაგვიჭირდება.

**— ჟოზე მაურინიუზე რას გვეტყვით?**

— ბრწყინვალე მწვრთნელია, პირადად ჩემთვის საუკეთესოა. მაურინიუ პრესის და ფანების ზეწოლას თავის თავზე იღებს და ამით ფეხბურთელებს საშუალებას გვაძლევს, მშვიდად ვიყოთ. მწვრთნელის გონივრული ქმედების წყალობით ხმაურიანი სკანდალებისგან გავთავისუფლდით და მარტო ფეხბურთზე ვართ კონცენტრირებულნი — ეს ბევრს ნიშნავს და „მაუც“ ამიტომ არის უძლიერესი.

**— მაურინიუ დროგბას ენდო და თქვენც შესანიშნავი თამაშით უპასუხეთ. ეს საუკეთესო სეზონია თქვენს კარიერაში?**

— ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო. „მარსელში“ ბევრი გოლი გავიტანე, თუმცა ეს „ჩელსიში“ უფრო შეიმჩნევა, უფრო დიდი გამოძახილი აქვს.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ „ვალენსია“ პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში ერთნაირად კარგად თამაშობს?**

— ეჭვიც არ მეპარება, რომ „ვალენსია“ ევროპულ გრანდთა შორისაა. ამ გუნდმა რამდენიმე წლის წინ ორჯერ გააღწია ლიგის ფინალში, რასაც ბევრი ვერ დაიტრაბახებს. ახლა კი გათამაშებიდან „ინტერი“ გააგდო და შეუძლია, მსგავსი რამ ნებისმიერთან გაიმეოროს. როცა შენი მეტოქე „ვალენსიაა“, ფრთხილად უნდა იყო.

**— „ინტერთან“ თამაშისას „მესტალიაზე“ ჩხუბი მოხდა და უეფამ შეხლა-შემოხლის მონაწილენი მკაცრად დასაჯა...**

— ამ თემაზე ლაპარაკს არ ვაპირებ. ფეხბურთელებმა ჩხუბს ყოველთვის უნდა აარიდონ თავი. უეფა კი, ვის დააჯარიმებს და ვის არა, თავადვე გადაწყვეტს.

**— „ჩელსის“ გერბზე ლომია გამოსახული, „ვალენსიის“ სიმბოლო კი ღამურაა. ვინ გაიმარჯვებს ამ ორს შორის?**

— ვინ და, ლომი, რომელიც ღამურას გადასანსლავს!

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. დღეს

# რატომ ოცნებობს ტოტი ზოოპარკში მუშაობაზე


ფრანჩესკო ტოტიმ გუშინდელ ვარჯიშზე ბევრი იმაიმუნა

AFP


ალექს ფერგიუსონი და მისი ორი ჯილა: უეინ რუნი და კრიშტიანუ რონალდუ

## თუ ასეა, ფერგიუსონი ფეხბურთის აზრზე არ ყოფილა

**ჩემპიონთა** ლიგას შემორჩენილი რვა კლუბიდან მიმდინარე სეზონში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს ალბათ სწორედ ის ორი აჩვენებს, რომლებიც დღეს „სტადიო ოლიმპიკოზე" შეიყრებიან — „რომა" და „მანჩესტერ იუნაიტედი".

ქომაგობა ამ შეხვედრისგან ლამაზ და დაძაბულ ორთაბრძოლას ელის, რასაც ისიც ადასტურებს, რომ თამაშზე დასასწრები ყველა ბილეთი სულ რამდენიმე საათში გაიყიდა.

ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, გადავსებულ „სტადიო ოლიმპიკოზე" „გლადიატორებისა" და „წითელი ეშმაკების" შერკინებას დაველოდოთ...

კლუბებს შორის „გადაძახილ-გადმოძახილი" დაახლოებით ერთი კვირაა, მიდის. ამას კი საფუძვლად სერ ალექს ფერგიუსონის კომენტარი უდევს, როცა მან „რომას" ლიდერებსა და სახიფათო ფეხბურთელებზე საუბრისას ფრანჩესკო ტოტი საერთოდ არ მოიხსენია. შოტლანდიელმა სპეციალისტმა თქვა, რომაელებს რამდენიმე კარგი ფეხბურთელი ჰყავთ, განსაკუთრებით, ამანტინო მანსინი და დანიელე დე როსიო.

„მინდა ვთქვა, რომ ინგლისური ფეხბურთი არ მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ იქ რამდენიმე ბრწყინვალე ფეხბურთელი თამაშობს. არც ინგლისი მომწონს, როგორც ქვეყანა, პირველ რიგში, ამინდის გამო. ფერგიუსონის კომენტარებს უმტკივნეულოდ ვიღებ. როგორც ლუჩანო სპალეტიმ თქვა, ჩვენს შესაძლებლობებში დარწმუნებულნი ვართ. იმედია, ფერგიუსონს თავს კარგად დავამახსოვრებ. ეს ალბათ ჩემთვის ხასიათის გაფუჭებისა და გალიაში ჩაკეტვის მცდელობა იყო, თუმც ამას მიჩვეული ვარ, მეტოქეები ხშირად მიმართავენ ხოლმე ამ ხერხს. მომავალში იქნებ ზოოპარკში დავიწყო მუშაობა, რადგან გალიებს უკვე ძალიან მივეჩვიე" — ირონიულად აღნიშნა ტოტიმ.

„რომას" მმართველი როზელა სენსი: „ყველას აზრს პატივს ვცემ და მათ შორის ფერგიუსონსაც, როგორც ფეხბურთის ექსპერტს. თუმცა, თუ მან მართლა ალალად გააკეთა ეს კომენტარი და ფრანჩესკოს სათანადოდ ვერ აფასებს, ძნელი სათქმელია, რომ ფეხბურთზე ბევრი რამ იცის".

**რომა (იტალია) — მანჩესტერი (ინგლისი)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა:** დონი, კასეტი, ფერარი, მექსეში, პანუჩი, დე როსი, კივუ, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ოში, ჰაინცე, რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი, სოლსკიაერი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

საბოლოოდ ეს ამბავი თავად ფერგიუსონმა ჩააცხრო: „ტოტი „რომას" ხერხემალია, ეს თავისთავად ცხადია. ყველაფერი მასზეა აწყობილი და იგი როგორმე უნდა შევაჩეროთ, თუმცა ჩვენ არავისი გვეშინია. ვიცით, რომ მძიმე ბრძოლა გველის. ეს ალბათ ყველაზე რთული წყვილია მეოთხედფინალებს შორის. „რომას" დიდ პატივს ვცემთ — იტალიელებმა „ლიონი" დაამარცხეს, რომელსაც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მივიჩნევდი. ეს კი სპალეტის გუნდის მაღალ კლასზე მეტყველებს. ტაქტიკურად აუცილებლად გამართულად უნდა ვითამაშოთ, თორემ პრობლემები შეგვექმნება. მთავარი იქნება ცენტრალური მცველებისა და ნახევარმცველების სათანადოდ გარჯა. ტოტის კი მატჩის გაკონტროლების საშუალება არ უნდა მივცეთ — ეს იოლი როდია, მაგრამ, რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ".

ფერგიუსონმა ტაქტიკა ახსენა და, ეს მართლაც ბევრს გადაწყვეტს ამ ორრაუნდიან ბრძოლაში.

შოტლანდიელ სპეციალისტს ზედმეტი წარდგენა ალბათ არ სჭირდება. ლუჩანო სპალეტი კი ის კაცია, ვინც ბოლო ორი-სამი წელია, ჯერ „უდინეზეს", ახლა კი „რომას" ბრწყინვალედ ათამაშებს. ახალგაზრდა და ნიჭიერ იტალიელს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მას უკვე რა ხანია, გრანდებმაც დადგეს თვალი.

„რომას" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიდან მხოლოდ ერთი, დავიდ პიზარო დააკლდება დისკვალიფიკაციის გამო. სპალეტი ჩილელს, სავარაუდოდ, ნახევარდაცვაში კრისტიან კივუს აწევით შეცვლის.

შემადგენლობასთან უფრო სერიოზული პრობლემები აქვს „მანჩესტერს". ტრავმირებულ მიკაელ სილვესტრისა და გარი ნევილს ახლახან ნემანია ვიდიჩიც შეუერთდა, რაც „წითელ ეშმაკებს", უბრალოდ, დაცვას კი არ შეუსუსტებს, შეტევაშიც მოაკლებს სიმწვავეს.

ბოლო მომენტში გაირკვა, რომ რომში არ გაფრინდებოდა ჟი სუნგ პარკიც. არცთუ დიდი ხნის წინ მომჯობინებული და ძველებურად ათამაშებული კორეელი ისევ დაშავდა. იგი მუხლის ტრავმის გამო დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს.

მანჩესტერელთა საბედნიეროდ, 100 პროცენტით მზადაა დიდებულ ფორმაში მყოფი კრიშტიანუ რონალდუ.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ფერგიუსონის გადაწყვეტილებით, იტალიაში გუნდს ჩაჰყვნენ ლუი საა და დარენ ფლეტჩერი. ორივე მათგანი ბოლომდე მომჯობინებული არ არის, მაგრამ შესაძლოა, სერ ალექსმა მაინც გარისკოს მათი მინდორზე გაყვანა, ეს განსაკუთრებით საჰზე ითქმის.

— „რომას" არასდროს შევხვედრივართ, ასე რომ, ახალი თავგადასავალი გველის. ფაქტია, სპალეტის კარგი გუნდი ჰყავს. ნებისმიერს, ვინც „ლიონს" სტუმრად 2:0-ს მოუგებს, ძალიან უნდა უფრთხოდე და ეს კარგად გავიაზრეთ. ჩემპიონთა ლიგაში, მით უმეტეს, მეოთხედფინალში, იოლი მატჩები აღარ არის და მძიმე ბრძოლა გველის, თუმცა კარგ სეზონს ვატარებთ და თუ ინდივიდუალურადაც და გუნდურადაც გამართულად ვითამაშებთ, მომდევნო ეტაპზე გავალთ — თქვა ნევილის არყოფნაში „მანჩესტერის" კაპიტანმა რაიან გიგზმა.

„წითელი ეშმაკების" მცველი უესლი ბრაუნი: „გუნდში საბრძოლო განწყობაა, ჩვენ საკუთარი შესაძლებლობების გვჯერა. რა თქმა უნდა, „რომა" ძლიერი გუნდია და მას პატივს ვცემთ, მაგრამ მოგება გვინდა და კარგად ვიცით, რომ ეს შეგვიძლია".

„რთული იქნება, მაგრამ „მანჩესტერი" უნდა დავამარცხოთ. ჩვენ არავისი გვეშინია. ცუდად არ გამიგოთ, მეტოქეს პატივს ვცემთ, მაგრამ „რომას" თავისი პლუსები აქვს — ძალიან შეკრული, ძლიერი გუნდი გვყავს და ბოლომდე ვიბრძვით, რაც მინდორზეც ჩანს. ინგლისელთა უპირატესობა გამოცდილებაა. მათ კარგად იციან, როგორ ითამაშონ ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში. იმედია, ისინი ისევე შეცდებიან, როგორც „ლიონს" დაემართა. უმეტესობა ფრანგებს ფავორიტად მიიჩნევდა, მაგრამ მათი დამარცხებით დავამტკიცეთ, რომ ყველას წაქცევა შეგვიძლია" — განაცხადა მანსინიმ.

ინგლისურ კლუბებთან ბოლო ხუთ საშინაო მატჩში „რომამ" მხოლოდ ერთხელ მოიგო, ორჯერ წააგო და ორჯერაც ფრედ ითამაშა. თუ დედაქალაქელები დღეს იმარჯვებენ, ეს ევროსარბიელზე მათ 210-ე შეხვედრაში საიუბილეო, მე-100 მოგება იქნება.

„გლადიატორებს" ჩემპიონთა ლიგაში ასეთი წარმატებისთვის აქამდე არასოდეს მიეღწიათ. ჩემპიონთა თასზე კი „რომა" ასე შორს ერთხელ წავიდა — 1984 წელს გუნდი ფინალამდეც კი მივიდა, მაგრამ საკუთარ „სტადიო ოლიმპიკოზე" პენალტების სერიაში წააგო „ლივერპულთან".

„მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეთერთმეტედ თამაშობს. „ოლდ ტრაფორდის" ბინადრები ნახევარფინალამდე 2002 წლის მერე აღარ მისულან. მიმდინარე სეზონში კი მათ 1998-99 წლების სეზონის ტრიუმფის გამეორების შანსი აქვთ, ანუ ჩემპიონთა ლიგის, პრემიერლიგისა და ქვეყნის თასის მოგება შეუძლიათ.

„წითელ ეშმაკებს" იტალიურ კლუბებთან 11 სტუმრობიდან 8 წაგება აქვთ, ერთხელ ფრედ ითამაშეს და ორჯერ მოიგეს. თუმცა ის ორივე მოგება ტურინის „იუვენტუსთან" მოხდა — 1998-99 წლების სეზონში ნახევარფინალში 3:2 და 2002-2003 წლების სეზონში ჯგუფურ ეტაპზე 3:0.

**გიორგი კაკაბაძე**



# მაღალი. უხეში. ამაყი

**ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის" თავდამსხ... პიტერ კრაუჩი, რომ გამორჩეული ფიგურაა, განა ა... მტკიცება უნდა? კრაუჩის სიმაღლისა და შრომისმოყვარეობის შემყურე ქომაგს, რომ თვალი უნებ... მისკენ გაურბის. მოედანს მიღმა კი თქვენს წინაშეა ჩვ... ადამიანი საფეხბურთო მწვერვალების დაპყრობის ენითაუწერელი სურვილით. ცხვირის ოპერაციის შემ... გამოჯანმრთელებული კრაუჩი მოედანს პრემიერლიგ... ბოლო ტურში, ლონდონის „არსენალთან" შეხვედრამ... დაუბრუნდა და სამი გოლიც შეაგდო. fifa.com-ის ინგლისელმა ჟურნალისტმაც შანსი ხელიდან არ გაუშვ... ლივერპულელს კითხვები დააყარა...**

— მოდით, თქვენი პირველი ნაბიჯებით დავიწყოთ. სანამ „ლივერპულში" გამოჩნდებოდით, ბევრ კლუბში გაგორეთ ბურთი. რამდენად ძნელი იყო პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბება?

— რასაკვირველია, ჩემს კარიერაში იყო საშინელი იმედგაცრუების პერიოდები, მაგრამ რწმენა იმისა, რომ მდგომარეობიდან გამოვიდოდი და როგორც ფეხბურთელი, ჩემს სიტყვას ვიტყოდი, არასდროს დამიკარგავს. მძიმე დღეებში სხვაზე არაფერზე მიფიქრია, შემდეგ კი „ლივერპულში" გადავედი. სხვათა შორის, თავიდან „ლივერპულშიც" საშინელი პერიოდი მქონდა, ვერა და ვერ გავიტანე გოლი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც, როგორც იქნა, ნავსი გატყდა და ბურთი მოწინააღმდეგის კარში შევაგდე, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მას მერე მოედანზე დაძაბული აღარ ვარ და მინდა გითხრათ, რომ შეცდომაც არ ვუშვებ.

— ფეხბურთის ისტორიაში ტიპიურია შემთხვევა, როდესაც წარმატების ჟინით შეპყრობილი ღარიბი ოჯახის შვილი გზას მიიკვლევს და ცის ქვეშ თავის ადგილს იმკვიდრებს. თქვენ საშუალო კლასის ოჯახიდან ბრძანდებით. გთხოვთ აგვიხსნათ, რა გაძლევთ სტიმულს?

— უბრალოდ, მე მიყვარს მოედანზე ყოფნა, ფეხბურთის თამაში და გოლების გატანა. ჩემთვის მოედანზე გატარებული ყოველი წამი ძვირფასია, მით უფრო კი, ის წამები მიყვარს, როდესაც კლუბი თუ სანაკრებო დონეზე ძლიერ მოწინააღმდეგეს ვეთამაშები. ერთი სიტყვით, ჩემი მთავარი სტიმული სწორედ ფეხბურთის სიყვარული გახლავთ.

— არჩეულ პროფესიაში ხელი რომ მოგცარვოდათ, ვინ იქნებოდა დღეს პიტერ კრაუჩი?

— შედარებით ახალგაზრდა რომ ვიყავი, საკმაოდ სერიოზულად ვთამაშობდი ჩოგბურთს. ასე რომ, ფეხბურთში რომ არაფერი გამომსვლოდა, არ არის გამორიცხული, ჩოგბურთელად გვენახეთ.

— თქვენ მაყურებელს იმიტომაც უყვარხართ, რომ აკრობატული დარტყმები გეხერხებათ. ეს თქვენი სიმაღლის ადამიანისგან განსაკუთრებით უცნაურია. გთხოვთ, გაგვანდოთ, აკრობატულობა მრავალსაათიანი ვარჯიშების შედეგია თუ ბუნებრივად ბრძანდებით ასეთი?

— აკრობატული დარტყმით ბავშვობაში გამიტანია რამდენიმე გოლი, ხოლო როდესაც იცი, რომ რაღაც გაგიკეთებია, გიჩნდება მისი გამეორების ამბიცია და სურვილი. ერთი ეგ არის, ვცდილობ, აკრობატულ დარტყმას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივმართო, თუ მის შესასრულებლად ყველა პირობაა შექმნილი. კიდევ, ბავშვობაში საგანგებოდ ვაკვირდებოდი უგო სანჩესა და მარკ ჰიუზის გოლებს და ვცდილობდი, გამემეორებინა.

— შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრძანდებოდით. როგორი იყო ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი? თუმცა ისიც სათქმელია, რომ თქვენმა გუნდმა ჩემპიონობა ვერ შეძლო...

— გაოცებული, რადგან დარწმუნებულნი ვიყავით, რომ მსოფლიო ჩემპიონობას შევძლებდით. მეორე მხრივ კი, მსოფლიოს საუკეთესო გუნდები... ან გავცნობოდი პირადად ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილება გახლდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლის გატანა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და ის რომ აისრულა, უდიდესი სიამოვნება მივიღე.

— როგორ ფიქრობთ, 2010 წელს შეძლებთ ჩემპიონობას?

— ცხადია. ჩემი ერთ-ერთი უდიდესი სურვილთაგანი სამხრეთ აფრიკაში თამაში და ტიტულის მოგებაა. ბუნებრივია, ყველა ფეხბურთელი ამავეს ოცნებობს, მაგრამ მე ამას, უბრალოდ, ვაპირებ. მჯერა, ჩვენი დონის გუნდს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება, დიახაც, შეუძლია.

— რა თვისება გამოგარჩევთ განსაკუთრებით?

— გოლების გატანის უნარი. გარდა ამისა, ბურთს ვფარავ კარგად და მეტოქეებს ჩემთვის მისი წართმევა უჭირთ. ყველაზე მეტად კი საჭირო მომენტში საჭირო ადგილას ყოფნა მეხერხება. შესაძლოა, ადგილას ვჩნდები და ბურთს კარში ვაგდებ. ყველაზე დიდ სიამოვნებასაც სწორედ ეს მანიჭებს.

— თავისუფალ დროს თუ უყურებთ ფეხბურთს?

— საერთოდ, ფეხბურთს ძალიან ხშირად ვუყურებ, მაგრამ არის მომენტები, როდესაც მიჯობს, სხვა რამეზე გადავერთო.

— ფეხბურთის გარე სამყაროში თუ არის ხალხი, რომელთაც სიამოვნებით შეხვდებოდით?

— მუნდიალის დღეებში პრინც უილიამს შევხვდი და ეს დიდებული გახლდათ. უბედნიერესი ვიქნები, დედოფალს თუ შევხვდები.

— ბავშვობაში ვის ქომაგობდით?

— დიდხანს და გულმხურვალედ ვქომაგობდი „ჩელსის", მაგრამ ახლა ქომაგი საერთოდ აღარ ვარ. „ჩელსის" ქომაგობა მაშინ შევწყვიტე, როდესაც მისი მეტოქე შევიქენი. დღეს ლონდონელებს დიდებული გუნდი ჰყავთ. ასე რომ, მათი დამარცხება დიდ სიამოვნებას მგვრის და მომგვრის.

— და ბოლოს: ხუთი წლის მერე კიდევ რომ შევხვდეთ ერთმანეთს, რა რანგში ისურვებდით ინტერვიუს მიცემას?

— იმ ფეხბურთელის რანგში, რომელმაც უამრავი გოლი გაიტანა და წლევანდელი ჩემპიონთა ლიგიდან დაწყებული, „ლივერპულთან" ერთად უამრავი ჯილდო მოიგო.

# რეკობამ კონტრაქტი იუარა



იტალიური „ინტერის“ ურუგვაელ ფორვარდ ალვარო რეკობას გუნდში დარჩენა აღარ სურს.

ორიოდ დღის წინ ვწერდით, რომ კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი მისთვის ახალ კონტრაქტს ამზადებდა, მაგრამ ტრავმებით გატანჯულ და სათადარიგოდ ქცეულ ურუგვაელს წასვლა გადაუწყვეტია.

„ათი წელი გავატარე „ინტერში“, მაგრამ თავის გამოჩენის საშუალება არ მქონდა. მინდა, ისეთ გუნდში გადავიდე, სადაც ძირითად შემადგენლობაში მათამაშებენ“ — განაცხადა რეკობამ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლუკა, შე ბებერო!

## მანჩინი ადრიანოს გადაეფარა



ცოტაც და, თუ სასწაული არ მოხდა, მილანის „ინტერი“ ოფიციალურად გაინაღდებს სკუდეტოს. წინა კვირას „ნეროადზურამ“ „პარმასთან“ მატჩში მორიგი გამარჯვება მოიპოვა და „რომას“ უკვე 20 ქულით უსწრებს.

„მიზანს უფრო და უფრო ვუახლოვდებით, ცოტაღა დაგვრჩა. თუმცა თავს მოდუნების უფლება არ უნდა მივცეთ და ნებისმიერ მეტოქესთან მოსაგებად ვითამაშოთ. თავდაჯერება არ უნდა დავკარგოთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია“ — თქვა „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

„ნეროადზური“ ახლოსაა სკუდეტოსთან, რომელსაც 1989 წლის მერე პირველად მოიპოვებს (თამაშით).

„ინტერმა“ მიზნად დაისახა, კლუბის ასი წლისთავთან დაკავშირებით ასი ქულა მოაგროვოს. სერია A-ს დასრულებამდე 9 ტურია დარჩენილი, ანუ 79 ქულის მქონე მილანელებს შესაძლებელი 27-დან 21 ქულის მოპოვება ჰყოფნით ახალი რეკორდის დასამყარებლად.

მანჩინიმ ადრიანოზეც ილაპარაკა, რომლის გარშემოც მიმდინარე სეზონში დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. ზლატან იბრაჰიმოვიჩის დისკვალიფიკაციისა და ხულიო რიკარდო კრუზის ტრავმის გამო „იმპერატორმა“ „პარმასთან“ შეუცვლელად ითამაშა — გოლი არ გაუტანია, მაგრამ ერნან კრესპოს მშვენიერი საგოლე პასი გაუკეთა.

„მისი პასი მაღალ კლასზე მეტყველებს. იმ პოზიციიდან დარტყმა და გოლის გატანა შეიძლება უფრო ადვილიც კი იყო, ვიდრე გადაცემის გაკეთება, თუმც ადრიანომ კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. მას თამაში სურს და ეს მესმის, მაგრამ ყველაფერი თავად ადრიანოზეა დამოკიდებული. არც ერთ ფეხბურთელს არ შეუძლია სათანადოდ გარჯა და თავისი რეალური ძალის ჩვენება, თუ იგი სპორტსმენის რეჟიმით არ ცხოვრობს და გარკვეულ წესებს არ იცავს“ — განაცხადა „ინტერის“ მწვრთნელმა.

მანჩინის კომენტარი ადრიანოს ლუკა ტონიში შესაძლო გაცვლის თაობაზე კი ასეთია: „ტონი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია, მაგრამ იგი ადრიანოზე ხუთი წლით უფროსია. ასე რომ, გაცვლა შეუძლებელია. თუ ლუკას დამატება გვენდომება, იგი უნდა ვიყიდოთ.“

**კოკი კანდელაკი**

# მე, ნაპოლის ფანი...

მიმდინარე სეზონში მშვენივრად მოთამაშე ფაბიო კალიარელას აგენტმა სტეფანო ანტონელიმ მისი საბაზრო ფასი დაასახელა — 17 მილიონი ევრო. „სამპდორიას“ თავდამსხმელი, რომელიც სანახევროდ „უდინეზეს“ ეკუთვნის, „მილანის“, „ინტერის“, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და სხვა გრანდების სამიზნე გახდა.

„ვადასტურებ, რომ ფაბიოთი „მილანი“ და „ინტერი“ არიან დაინტერესებულნი, ასევე ორი უცხოური კლუბიც. ვის აქვს ყველაზე მეტი შანსი ახლა, ძნელი სათქმელია. ერთს კი გეტყვით, კალიარელა 17 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გაიყიდება“ — თქვა ანტონელიმ.

„ჩემს აგენტს ვთხოვე, ვერ არაფერი მითხრას. ახლა მხოლოდ თამაშზე ვარ კონცენტრირებული, დანარჩენი ივნისში მოგვარდება. რომელ კლუბში ვისურვებდი გადასვლას? ვერ გეტყვით, მაგრამ ისე, ყოველთვის „ნაპოლის“ ფანი ვიყავი“ — განაცხადა თავდამსხმელმა.

მიმდინარე სერია A-ში კალიარელას 12 გოლი აქვს გატანილი. გარდა იმისა, რომ მას ბევრი გააქვს და საგოლე პასებსაც აკეთებს, ხშირად გოლები ძალიან ლამაზი გამოსდის. ასე მოხდა ამ უქმეებზე „კიევოსთან“ მატჩშიც, როცა სამპდორიელმა 40 მეტრიდან ბრწყინვალე, ძლიერი და ზუსტი დარტყმით შეაგდო.

ფაბიო კალიარელა: „ამ გოლმა ყველა გააოცა. როცა ბურთი მომივიდა, ვიგრძენი, რომ მეკარე წინ იყო გამოსული და... ამგვარ დარტყმებზე ვარჯიშებზე ვმუშაობ ხოლმე. ეს ჩემი ერთ-ერთი იარაღია. ასე რომ, შემთხვევითობა არ გეგონოთ“.

ნიჭიერი ფორვარდის კარგი თამაში „სკუადრა ადურას“ ხელმძღვანელობას რომ არ გამორჩენია, ალბათ იცით — რობერტო დონადონიმ იგი შოტლანდიასთან მატჩისთვის გამოიძახა და ბოლო წუთებზე მინდორზეც შეუშვა.

„იტალიის ნაკრებში დებიუტი ჩემს კარიერაში ჯერჯერობით ერთ-ერთი საუკეთესო ამბავია, თუ ყველაზე საუკეთესო არა. მერე კი ასეთი ლამაზი გოლიც გავიტანე– ერთი სიტყვით, დასამახსოვრებელი კვირა მქონდა“ — დასძინა კალიარელამ.

**გიორგი კაკაბაძე**







# ორსი კი არა, ცოცხია, ცოცხი!

ჩანს, იტალიურ „ლივორნოში“ ვითარება ნელ-ნელა მშვიდდება. წინა კვირას ტოსკანელთა მთავარ მწვრთნელ ფერნანდო ორსის დებიუტი წარმატებული გამოდგა — „ლივორნომ“ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ „კატანიას“ 4:1 მოუგო. გუნდის ვეტერანმა ლიდერმა და კაპიტანმა კრისტიანო ლუკარელიმ კი ჰეთ თრიქი შეასრულა.

საინტერესოა, რომ მისთვის ამ სამი გოლიდან მეორე საიუბილეო, მე-100 იყო სერია A-ში.

„ორსის მუშაობით ჯერჯერობით ძალიან კმაყოფილი ვარ, ისევე, როგორც მისი მრჩევლის ჯამპიერო ვენტორესი. როგორც იქნა, ვარჯიშზე ენთუზიაზმი დავინახე და იმედია, ასე გაგრძელდება. ორ თვეზე მეტია, ორსის ვაკვირდები. იგი გუნდში ადრევე უნდა მომეყვანა, კლუბს გამოფხიზლება სჭირდებოდა. ფეხბურთელები იანვარში დანიელე არიგონის მოხსნის წინააღმდეგნი იყვნენ და მაშინ მათ დავუთმე, თუმცა ვითარება მალე გამოვასწორე“ — თქვა „ლივორნოს“ პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ.

შეგახსენებთ, რომ ორსის „ლივორნოში“ მისვლას დიდი აურზაური მოჰყვა. ფეხბურთელებს კვლავ არ სურდათ არიგონის წასვლა. ლუკარელიმ და სპინელიმ იკინკლავეს კიდეც, რის მერეც ტოსკანელთა კაპიტანმა თქვა, კლუბიდან მივდივარო.

მერე თავად სპინელიმ განაცხადა, მორჩა, დავიღალე, „ლივორნოს“ პრეზიდენტობას აღარ ვაპირებ და იმედია, ჩემს შემცვლელს მალე ვიპოვითო.

„მასზე ძალიან გაბრაზებული ვიყავი, რადგან კაპიტანს ასეთი ქცევა და გუნდში სიტუაციის არევა არ მართებს. „კიევოსთან“ მატჩისას კი „ლივორნოს“ და ლუკარელის ტაში დავუკარი. კრისტიანომ კარგად ითამაშა, ისევე, როგორც მთელმა გუნდმა. ნებისმიერ შემთხვევაში ფეხბურთელები მწვრთნელს უნდა უსმენდნენ და არა ლუკარელის. იმედია, ბოლოს და ბოლოს სწორ გზაზე დავბრუნდებით და ვითარება ჩაწყნარდება“ — დასძინა სპინელიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

## ბებრის ბარძალი

„პალერმოს“ მცველ ანდრეა ბარძალით „იუვენტუსი“ დაინტერესდაო, წერს „ტუტოსპორტი“. ტურინელები პალერმოელებს სანაცვლოდ ფაბრიციო მიკოლის სთავაზობენ, რომელიც ლისაბონის „ბენფიკაშია“ განათხოვრებული.

გარდა ამისა, იტალიური მედიის ცნობით, „ბებერი ქალბატონი“ რეჯინელ ფორვარდ რონალდო ბიანკის ყიდვასაც ცდილობს და მის გუნდს 8 მილიონი ევრო შესთავაზა.

## ბრაზილიელი გატუზო

„კონტროკამპოს“ ინფორმაციით, „მილანი“ „გრემიოს“ ნახევარმცველ ლუკასით დაინტერესდა. ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, რომელიც ამას წინათ ეროვნულშიც გამოიძახეს, „შავწითლებს“ ჯენარო გატუზოს შემცვლელად შეუგულებიათ.

ლუკასის შეძენა „ინტერს“, „ატლეტიკოს“ და მოსკოვის „ლოკომოტივსაც“ უნდათ, თუმც იგი ალბათ „მილანს“ აირჩევს, სადაც ბევრი ბრაზილიელი თამაშობს.

## ჯორდანო დაბრუნდა

„მესინამ“ ალბერტო კავაზინი მოხსნა და ძველი მწვრთნელი, ბრუნო ჯორდანო დააბრუნა, რომელიც 30 იანვარს გაათავისუფლეს. გასულ უქმეებზე „კალიარისთან“ 0:2 მარცხმა „მესინა“ ვავარდნის საფრთხის წინაშე დააყენა და კლუბის პრეზიდენტმა პიეტრო ფრანცამ მწვრთნელის გამოცვლა ინება.

კავაზინის ხელში გუნდმა რვიდან ორი მოიგო და ორიც ფრედ დაასრულა.

## ლატვიას სტარკოვსი დაუნიშნეს

ალექსანდრს სტარკოვსი ლატვიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იანის მაჟეცკისმა განაცხადა.

„თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია და დეტალებიღა დარჩა დასაზუსტებელი. ხუთშაბათს მწვრთნელთა საბჭოს სხდომა გაიმართება და სტარკოვსს დავამტკიცებთ“ — თქვა მდივანმა.

ალექსანდრს სტარკოვსი ამჟამად „სკონტოს“ სპორტულ დირექტორად მუშაობს. მისი თავკაცობით ნაკრები ევრო 2004-ზე გავიდა, შემდეგ კი მოსკოვის „სპარტაკი“ ჩაიბარა, მაგრამ წელიწადნახევარში გაათავისუფლეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჰეპატიტი! მარადონა სიკვდილს ეთამაშება



**კიდევ** ერთი მშფოთვარე ამბავი სრულიად არგენტინისთვის და საფეხბურთო სამყაროსთვის — დიეგო მარადონას მწვავე ჰეპატიტი აღმოაჩნდა.

„ვადასტურებ, რომ მარადონას ალკოჰოლის გადაჭარბებით მიღების გამო მწვავე ჰეპატიტი აქვს. თავიდან ვშიშობდი, პანკრეასი არ ყოფილიყო, რასაც შეიძლებოდა, უფრო მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. ახლა საქმე ჰეპატიტთან გვაქვს და იმედია, მოვლენები ფატალურად არ განვითარდება. სამწუხაროა, რომ დიეგოს მიერ თამბაქოსა და ალკოჰოლის ზომაზე მეტად მოხმარების გამო ჩიხში შევედით" — განაცხადა მარადონას პირადმა ექიმმა ალფრედო კაემ არგენტინულ „რადიო მიტრესთან" ინტერვიუში.

ფეხბურთის მეფე ახლა ბუენოს აირესის ერთ-ერთ კლინიკაში იმყოფება, სადაც რამდენიმე დღის წინ გადაიყვანეს.

მარადონამ ნარკოტიკებს თავი კი დაანება, მაგრამ ახლა სასმელისგან და სიგარებისგან გველუპებაო — ჩივის პატაგონიური მედია...

**ლადო ხომერიკი**

# კრასნოდარელებმა გოლს კინაღამ გოგონა შეწირეს



**რუსული** პრემიერლიგის მესამე ტურში დებიუტანტმა „ყუბანმა" კრასნოდარში ნალჩიკის „სპარტაკს" უმასპინძლა.

მატჩმა, რომელიც 2:2 დასრულდა, ყურადღება ტრიბუნებზე მომხდარი არეულობებით მიიქცია — მასპინძელმა ფანებმა „ყუბანის" გოლის აღსანიშნად მაშხალები აანთეს და... ახლო-მახლო მჯდომი გოგონა დაწვეს.

„სამმა ბიჭმა მაშხალა აანთო და მათ წინ მყოფი გოგონა დაწვეს" — განაცხადა კრასნოდარის მილიციის უფროსმა ილია შაკალოვმა.

მისივე თქმით, გოგონას ტანსაცმელი და თმები დაეწვა. დამნაშავეები კი უკვე დაკავებულნი არიან და მათ ხუთ წლამდე პატიმრობა ელით.

**ძაბა ზალამბერიძე**

## პასპორტი გზაში დამაწიეთ!

**ეინდჰოვენში** მიმავალ „ლივერპულის" კაპიტან სტივენ ჯერარდს პასპორტი სახლში დარჩა. ინგლისელმა თვითმფრინავში ჩაჯდომამდე ნახევარი საათით ადრე აღმოაჩინა, რომ პასპორტი არ ჰქონდა და შინ ტაქსისტი აფრინა.

ჯერარდის ცოლმა საბუთი გზაში დააწია მეუღლეს და ლივერპულელიც ეინდჰოვენში გაფრინდა, ტაქსისტს კი გზაში ავარია მოუხდა და პასუხს აგებს.

## თავდასხმა გასახდელზე

**ამ** უქმეებზე ცსკა-სთან მარცხის გამო გაბრაზებულმა მოსკოვის „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა იური სიომინმა ნამატჩევს გასახდელში ფეხბურთელებს თხუთმეტწუთიანი წაუკითხა. პრეზიდენტი ისე იყო განიწმატებული, ვერც კი შეამჩნია, რომ სიჩოვი, იზმაილოვი და კოჩიში საშხაპეში იყვნენ, ხოლო დანარჩენები მოულოდნელი თავდასხმისგან გაოგნებულნი დარჩნენ.

ასეთი გაბრაზებული სიომინი ბოლოს სამი წლის წინ ნახეს, როცა „დინამოსთან" პირველი ტაიმის შემდეგ 0:2-ს აგებდნენ.

## სამი მატჩი მოხსნამდე

**ბერლინის** „ჰერტას" მწვრთნელ ფალკო გიოტცს მოხსნიან, თუ მომდევნო სამ მატჩს წააგებს. პირველ წრეში „ჰერტა" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოდა, მაგრამ მეორე წრეში რვა შეხვედრა წააგო და მერვე ადგილზე ჩაცოცდა. გიოტცის მოხსნა აქამდეც უნდოდათ, მაგრამ ნაადრევად კონტრაქტის გაწყვეტისთვის მწვრთნელს კომპენსაცია უნდა მისცენ. „ჰერტას" კი 47 მილიონი ევრო ვალი აქვს და საკომპენსაციო თანხა არ გააჩნია.

## აიაქსი უსტამოდ დარჩა

**ამსტერდამის** „აიაქსის" კაპიტანი იაპ სტამი დაუშავდა „ჰერაკლესთან" მოგებულ მატჩში. ჰოლანდიელ მცველს მუხლის მყესები დაუზიანდა და რამდენიმე კვირით გამოაკლდება გუნდს, რაც დიდი დანაკლისია, რადგან „აიაქსი" ჩემპიონობისთვის იბრძვის.

ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ამსტერდამელები პსვ-ს სამი ქულით ჩამორჩებიან.

## ფლამინი გარბის

**ლონდონის** „არსენალის" ნახევარმცველმა მეტიუ ფლამინიმ მწვრთნელი და კლუბის შეფები გააოგნა, რადგან მოულოდნელად წასვლა მოინდომა. 23 წლის ფეხბურთელი აგენტს უკვე მოეთათბირა და ფიფას ახალი წესით, საკუთარი კონტრაქტის გამოსყიდვას აპირებს. ფლამინი 2004 წლიდანაა „არსენალში", სადაც „მარსელიდან" გადავიდა, მაგრამ ბოლო ხანს ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება.

„მინდა, ბევრი ვითამაშო, ბევრი გავიტანო, საგოლე პასი გავაკეთო და ჩემპიონთა თასი მოვიგო — თქვა ფრანგმა — აქ კი ამის შანსი არ მაქვს".

აგენტის განცხადებით, ფლამინის იტალიაში გადასვლის ვარიანტი გამოუჩნდა.

**გაგა ხუციშვილი**


სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 20:15 | 2 | სიტი-ჩარლტონი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 22:30 | 3 | ევერტონი-ფულემი | 1.60 | 3.50 | 6.00 | 1.09 | 1.26 | 2.21 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 15:45 | 4 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.40 | 4.20 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.75 |
| 18:00 | 6 | არსენალი-ვესტ ჰემი | 1.40 | 4.20 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.75 |
| 18:00 | 8 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 18:00 | 9 | მიდლსბრო-უოტფორდი | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 18:00 | 10 | რედინგი-ლივერპული | 3.30 | 3.20 | 2.15 | 1.62 | 1.30 | 1.28 |
| ა:00 | 12 | შეფილდი-ნიუკასლი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 18:00 | 13 | უიგანი-ბოლტონი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 20:15 | 14 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 15:30 | 25 | საუთენდი-კოლჩესტერი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 17:45 | 26 | ლესტერი-დერბი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 18:00 | 27 | ჰალი-ნორვიჩი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 28 | ბირმინგემი-ბარნლი | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |
| 18:00 | 29 | კარდიფი-უენსდი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 18:00 | 31 | კრ. პალასი-პრესტონი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 18:00 | 32 | იფსვიჩი-ბარნსლი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 18:00 | 33 | ლიდსი-პლიმუთი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 34 | ლუტონი-საუთჰემპტონი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 18:00 | 35 | სანდერლენდი-ვულვზი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 36 | ვესტ ბრომვიჩი-სტოკი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 49 | ბლეკპული-ტრანმერი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 50 | ბორნმუთი-ბრედფორდი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 18:00 | 51 | ბრენტფორდი-ჩელტენემი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 52 | ბრაიტონი-დონკასტერი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 53 | ბრისტოლი-სუონსი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 54 | ჩესტერფილდი-ქრიუ | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 55 | ლეიტონი-ნორთჰემპტონი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 56 | მილუოლი-ნოტინგემი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 18:00 | 57 | ოლდემი-ჰადერსფილდი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 18:00 | 58 | პორტ ვეილი-კარლაილი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 59 | როტერჰემი-ჯილინგემი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 60 | სკანთორპი-იოვილი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 75 | ჩესტერი-დარლინგტონი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 76 | გრინსბი-ჰერეფორდი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 77 | ბარნეტი-ჰარტლპული | 3.65 | 3.30 | 1.85 | 1.73 | 1.22 | 1.18 |
| 18:00 | 78 | ბერი-როჩდეილი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 79 | ჰერეფორდი-სუინდონი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 18:00 | 80 | ლინკოლნი-სტოკპორტი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 81 | მაკლსფილდი-რექსემი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 82 | მენსფილდი-როვერსი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 83 | დონსი-გრიმსბი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 18:00 | 84 | ნოტსი-ბოსტონი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 18:00 | 85 | ტორკი-უოლსოლი | 3.20 | 3.40 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| 18:00 | 86 | უიკომბი-შრიუსბერი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 126 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 127 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 18:00 | 129 | სელტიკი-მოზერუელი | 1.22 | 5.10 | 11.00 | 1.00 | 1.09 | 3.48 |
| 18:00 | 131 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 18:00 | 132 | ჰართსი-კილმარნოკი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 18:00 | 133 | ინვერნესი-ფოლკირკი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 134 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 6.00 | 3.70 | 1.50 | 2.28 | 1.20 | 1.06 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 136 | ერდრი-გრეტნა | 4.50 | 3.70 | 1.60 | 2.03 | 1.18 | 1.11 |
| 22:45 | 139 | ლივინგსტონი-კლაიდი | 2.35 | 3.40 | 2.50 | 1.38 | 1.21 | 1.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 140 | კლაიდი-ერდრი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 18:00 | 141 | დანდი-როსი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 18:00 | 142 | გრეტნა-სტ.ჯონსტონი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 143 | ჰამილტონი-ლივინგსტონი | 2.05 | 3.40 | 3.10 | 1.27 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 144 | პარტიკ-ქუინი | 2.55 | 3.40 | 2.35 | 1.45 | 1.22 | 1.38 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 149 | სტირლინგი-კოუდენბითი | 1.55 | 3.80 | 4.80 | 1.10 | 1.17 | 2.12 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 150 | ალოა-რეითი | 2.65 | 3.40 | 2.25 | 1.48 | 1.21 | 1.35 |
| 18:00 | 151 | ეარი-ბრეჩინი | 2.45 | 3.40 | 2.40 | 1.42 | 1.21 | 1.40 |
| 18:00 | 152 | კოუდენბითი-სტრანრარი | 2.00 | 3.40 | 3.20 | 1.25 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 153 | მორტონი-ფორფარი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 18:00 | 154 | პიტერჰედი-სტირლინგი | 3.80 | 3.50 | 1.80 | 1.82 | 1.22 | 1.18 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 157 | ალბიონი-დამბარტონი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 158 | არბროთი-სტენჰაუზმური | 1.40 | 4.40 | 6.00 | 1.06 | 1.13 | 2.53 |
| 18:00 | 159 | ბერიკი-ელგინი | 1.27 | 5.00 | 8.00 | 1.01 | 1.09 | 3.07 |
| 18:00 | 160 | ისტ ფაიფი-ქუინზ პარკი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 161 | ისტ სტირლინგი-მონტროუზი | 3.10 | 3.50 | 1.95 | 1.64 | 1.19 | 1.25 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 162 | ალემანია-დორტმუნდი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 17:30 | 163 | აინტრახტი-კოტბუსი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 17:30 | 164 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 17:30 | 165 | ჰანოვერი-ბაიერნი | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| 17:30 | 166 | ჰერტა-არმინია | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 17:30 | 170 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1.45 | 4.00 | 7.00 | 1.06 | 1.20 | 2.54 |
| 17:30 | 174 | ვოლფსბურგი-მაინცი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 168 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| 19:00 | 172 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 21:30 | 184 | ჰამბურგი(მ)-ზტ.პაული | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| 21:30 | 576 | უნ ბერლინი-კილი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.) | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 193 | ჰოფენჰაიმი-ინგოლშტადი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 21:00 | 194 | კიკერსი-ზიგენი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 21:45 | 218 | კონკორდია-დელემონი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 21:45 | 219 | ვინტერთური-ვადუცი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 227 | ატალანტა-კიევო | 2.00 | 3.00 | 4.00 | 1.20 | 1.33 | 1.71 |
| 17:00 | 228 | კატანია-რომა | 4.70 | 3.20 | 1.80 | 1.90 | 1.30 | 1.15 |
| 17:00 | 230 | ფიორენტინა-ასკოლი | 1.22 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.62 |
| 17:00 | 231 | ლაციო-მესინა | 1.30 | 4.40 | 11.00 | 1.00 | 1.16 | 3.14 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 233 | მილანი-ემპოლი | 1.43 | 3.80 | 8.00 | 1.03 | 1.21 | 2.57 |
| 17:00 | 234 | პალერმო-კალიარი | 1.70 | 3.20 | 5.20 | 1.11 | 1.28 | 1.98 |
| 17:00 | 235 | პარმა-ლივორნო | 2.10 | 2.90 | 3.70 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 17:00 | 236 | რეჯინა-ინტერი | 5.40 | 3.40 | 1.65 | 2.08 | 1.26 | 1.11 |
| 17:00 | 238 | სამპდორია-ტორინო | 2.00 | 2.80 | 4.40 | 1.16 | 1.37 | 1.71 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 269 | სარაგოსა-ბარსელონა | 3.40 | 3.20 | 2.10 | 1.64 | 1.29 | 1.26 |
| 23:45 | 271 | ბილბაო-ვალენსია | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 272 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 273 | დეპორტივო-ტარაგონა | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 19:00 | 274 | ლევანტე-ბეტისი | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 19:00 | 275 | მალიორკა-ხეტაფე | 2.35 | 3.10 | 2.95 | 1.33 | 1.30 | 1.51 |
| 19:00 | 276 | უელვა-სელტა | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 19:00 | 277 | სევილია-რასინგი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.24 |
| 21:00 | 278 | რეალი-ოსასუნა | 1.50 | 3.80 | 6.40 | 1.07 | 1.21 | 2.38 |
| 23:00 | 280 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 417 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 17:00 | 418 | რანდერსი-ნორდსიელანდი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 17:00 | 419 | ვეილე-ჰორსენსი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 17:00 | 420 | ვიბორგი-ოდენსე | 2.65 | 3.30 | 2.45 | 1.46 | 1.27 | 1.40 |
| 20:00 | 421 | კოპენჰაგენი-სილკებორგი | 1.20 | 5.50 | 14.00 | 1.00 | 1.10 | 3.94 |
| 22:00 | 422 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.10 | 3.20 | 2.25 | 1.57 | 1.30 | 1.32 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 15:00 | 429 | ფრემადი-იოლსტიკე | 2.00 | 3.60 | 3.20 | 1.28 | 1.23 | 1.69 |
| 17:00 | 430 | ორჰუსი ფრ-აკადემისკი | 2.25 | 3.40 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| 17:00 | 431 | ბრაბრანდი-ორჰუსი | 8.50 | 4.70 | 1.30 | 3.02 | 1.12 | 1.01 |
| 17:00 | 432 | ფრედერისია-კოლდინგი | 2.05 | 3.50 | 3.00 | 1.29 | 1.21 | 1.61 |
| 17:00 | 433 | ჰერფიოლგე-ფრემი | 1.95 | 3.50 | 3.20 | 1.25 | 1.21 | 1.67 |
| 17:00 | 434 | ლიუნგბიუ-კოგე | 1.55 | 4.00 | 5.00 | 1.11 | 1.18 | 2.22 |
| 17:00 | 435 | ნესტვედი-ტისტედი | 1.75 | 3.60 | 4.10 | 1.17 | 1.22 | 1.91 |
| 17:00 | 436 | სიონდერიისკე-ჰელერუპი | 1.27 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.24 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 445 | ალესუნდი-სტარტი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 20:00 | 446 | ლილესტრომი-ფრედრიკსტადი | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |
| 20:00 | 447 | ლინი-სანდეფიორდი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 20:00 | 448 | სტრომსგოდსეტი-ბრანი | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 449 | ტრომსიო-ვოლერენგა | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 22:00 | 450 | ვიკინგი-როზენბორგი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 459 | ბრომაპოიკარნა-იურგორდენი | 4.50 | 3.50 | 1.70 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 17:00 | 460 | ტრელებორგი-გიოტებორგი | 3.20 | 3.10 | 2.15 | 1.57 | 1.28 | 1.26 |
| | | 7 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 461 | ელფსბორგი-მალმიო | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 462 | აიკ-კალმარი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 463 | გეფლე-იორებრო | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 17:00 | 464 | ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 580 | ტოლუკა-ატლასი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 506 | აუდაქსი-დ.კონსეპსიონი | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 23:45 | 507 | კობრელოა-ნუბლენსე | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 23:45 | 509 | ევერტონი-კობრესალი | 1.35 | 4.10 | 7.30 | 1.01 | 1.13 | 2.62 |
| 23:45 | 512 | უაჩიპატო-სანტიაგო ვანდერერსი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:45 | 513 | უნ.ესპანიოლა-ლოტა | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 23:45 | 514 | უნ.კატოლიკა-ანტოფაგასტა | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 508 | კოკიმბო-პუერტო მონტი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 515 | უნ.ჩილე-მელიპილა | 1.45 | 3.80 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.37 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 528 | ჩელსი-ვალენსია | 1.70 | 3.30 | 5.30 | 1.12 | 1.28 | 2.03 |
| 22:45 | 529 | რომა-მანჩესტერი | 2.65 | 3.10 | 2.65 | 1.42 | 1.32 | 1.42 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 5 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 530 | ალკმაარი-ვერდერი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 21:00 | 532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 22:45 | 533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| | | იაპონია. თასი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 14:00 | 558 | გამბა-იჩიჰარა | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 14:00 | 559 | ივატა-იოკოჰამა ფძ | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 14:00 | 560 | კაშიმა-კოფუ | 1.70 | 3.40 | 4.10 | 1.13 | 1.20 | 1.85 |
| 14:00 | 561 | კაშივა-ომია | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 14:00 | 562 | ნაგოია-ნიიგატა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 14:00 | 563 | ოიტა-ტოკიო | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 14:00 | 564 | ჰიროსიმა-კობე | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 14:00 | 565 | იოკოჰამა ფმ-შიმიცუ | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| | | რუსეთი. თასი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 536 | დინამო მ-ლოკომოტივი მ | 3.50 | 3.10 | 2.00 | 1.64 | 1.27 | 1.21 |
| 18:00 | 537 | მოსკოვი-კრილია | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 538 | როსტოვი-დინამო ბრიანსკი | 1.35 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.76 |
| 19:30 | 539 | ზენიტი-სპარტაკი მ | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| | | ხორვატია. თასი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 19:30 | 542 | ჰაიდუკი-დინამო | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 18:00 | 543 | სლავენი-რიეკა | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 4 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 552 | სიენსიანო-ბოკა ხუნიორსი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 23:45 | 553 | სან პაულუ-ნეკახა | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 23:45 | 554 | მარაკაიბო-ფლამენგო | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10528 | ჩელსი-ვალენსია | 2.20 | 2.10 | 5.50 | 1.07 | 1.57 | 1.51 |
| 10529 | რომა-მანჩესტერი | 3.10 | 2.00 | 3.10 | 1.21 | 1.54 | 1.21 |
| 10530 | ალკმაარი-ვერდერი | 3.10 | 2.00 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 2.75 | 2.00 | 3.45 | 1.15 | 1.53 | 1.26 |
| 10532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 2.40 | 2.00 | 4.20 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10533 | სევილია-ტოტენჰემი | 2.25 | 2.10 | 4.80 | 1.08 | 1.53 | 1.46 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11528 | ჩელსი-ვალენსია | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11529 | რომა-მანჩესტერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11530 | ალკმაარი-ვერდერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11533 | სევილია-ტოტენჰემი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12528 | ჩელსი-ვალენსია | 1.55 | 2.10 |
| 12529 | რომა-მანჩესტერი | 1.55 | 2.10 |
| 12530 | ალკმაარი-ვერდერი | 2.10 | 1.55 |
| 12531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.50 | 2.20 |
| 12532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13528 | ჩელსი-ვალენსია | 1.90 | 1.70 |
| 13529 | რომა-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13530 | ალკმაარი-ვერდერი | 1.55 | 2.10 |
| 13531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.90 | 1.65 |
| 13532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 13533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14528 | ჩელსი-ვალენსია | 1.40 | 2.40 |
| 14529 | რომა-მანჩესტერი | 1.90 | 1.90 |
| 14530 | ალკმაარი-ვერდერი | 1.90 | 1.90 |
| 14531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.80 | 2.00 |
| 14532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.65 | 2.20 |
| 14533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15528 | ჩელსი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15529 | რომა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15530 | ალკმაარი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15533 | სევილია-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ზრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16528 | ჩელსი-ვალენსია | 1.16 | 4.00 |
| 16529 | რომა-მანჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 16530 | ალკმაარი-ვერდერი | 1.80 | 1.80 |
| 16531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.60 | 2.00 |
| 16532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.35 | 2.60 |
| 16533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.28 | 3.00 |

### გოლი:ფსილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფსილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17528 | ჩელსი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17529 | რომა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17530 | ალკმაარი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18528 | ჩელსი-ვალენსია | 1.42 | 2.60 |
| 18529 | რომა-მანჩესტერი | 2.40 | 1.50 |
| 18530 | ალკმაარი-ვერდერი | 2.50 | 1.45 |
| 18531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 2.00 | 1.65 |
| 18532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.70 | 2.00 |
| 18533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.70 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## რაო, ვილისო?!

გახსოვთ კევინ ვილისი — დომინიკ უილკინსის თანამებრძოლი მძლავრ „ატლანტა ჰოქსში“ და ამ გუნდთან ერთად 1988 წელს თბილისში ნამყოფი აყლაყუდა ცენტრი? სწორედ ამ ბეხრეკმა ვილისმა გააფორმა კონტრაქტი ლიგის ლიდერ „დალასთან“, თუმც ხელშეკრულება მხოლოდ 10-დღიანია და, ცხადია, იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ 44 წლის კევინი დაამტკიცებს, რომ საჭირო დონეზე თამაში შეუძლია.

ვილისი 1962 წელს დაიბადა და დღესდღეობით ნბა-ს ყველაზე მხცოვანი კალათბურთელია. მან აქამდე 20 სეზონი ითამაშა ნბა-ში და უმეტესად „ატლანტას“ ღირსებას იცავდა. კევინმა კარიერა 2004-05 წლების სეზონის ბოლოს დაასრულა, მაგრამ ვარჯიში არ შეუწყვეტია და აგერ, „დალასში“ აპირებს ძალების გამოცდას.

**ირაკლი პერტაია**

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

**კრის ბოში (ტორონტო)**



### დასავლეთი

**იაო მინი (ჰიუსტონი)**



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ნბა-მ აღმოსავლეთ კონფერენციაში „ტორონტო რეპტორზის“ თავდამსხმელი კრის ბოში, დასავლეთში კი „ჰიუსტონ როკიტსის“ ცენტრი იაო მინი დაასახელა.

მძლავრი კვირა ჰქონდა ბოშს: კანადური გუნდის საუკეთესო მექულემ და მომხსნელმა ოთხ თამაშში საშუალოდ 22,3 ქულა და 14,8 მოხსნა აკეთა და აქედან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა თავისიანებს. ოთხშაბათს მან „ტორონტოს“ „მაიამისთან“ ჯახი 96:83 მოაგებინა, თავად კი 13 ქულა და 18 მოხსნა გაახერხა და კარიერაში 111-ე ორმაგი დუბლი შეასრულა. ამ მაჩვენებლით ის „დინოზავრთა“ შორის ყველაზე დიდი „დინოზავრია“.

არანაკლებ შთამბეჭდავია იაო მინის ციფრები. მას კვირის განმავლობაში 30.0 ქულა და 12,5 მოხსნა დაუგროვდა და ოთხი თამაშიდან სამში ორმაგი დუბლი შეასრულა. ისე კი, რაც იაო მოკეთდა, „ჰიუსტონმა“ 15 თამაშიდან 11 მოიგო და პლეი ოფსაც იმედიანად ხვდება.

**კვირის სიმბოლური ხუთეული:** ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი), ლეანდრო ბარბოსა (ფინიქსი), რაშარდ ლუისი (სიეტლი), კრის ბოში (ტორონტო), იაო მინი (ჰიუსტონი)

## თვის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

**ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)**



### დასავლეთი

**კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)**



მარტში მოკალათებულმა უხვმა მოსავალმა კობი ბრაიანტი კიდევ ერთხელ ასარგებლა. ორჯერ კვირის მოთამაშედ დასახელებულ ლეიკერსელ სუპერბომბარდირს ახლა თვის ლაურეატის წოდებაც შეხვდა, ესეც მეორედ სეზონის განმავლობაში. პირველად მან დეკემბრის საუკეთესო მოთამაშის ტიტული მოიპოვა.

კიდევ ერთხელ გადავხედოთ ბრაიანტისთვის ამ ზღაპრულ თვეს. მას წინა სეზონში ერთი განსაკუთრებით მძლავრი თამაში ჰქონდა — 81 ქულა დააგროვა. წლეულს მას ამ სულისშემხუთავი ციფრისთვის არ მიუღწევია, მაგრამ 16 მარტს „პორტლენდთან“ 65 ქულით რომ დაიწყო, ზედიზედ კიდევ სამ თამაშში აკეთა 50 და მეტი ქულა და ამ მხრივ უილტ ჩემბრლენის გარდა ნბა-ს ყველა სხვა ლეგენდარული მოთამაშე უკან მოიტოვა მაიკლ ჯორდანის ჩათვლით. კობის ქულებმა მისი „ლეიკერსიც“ ამოასუნთქა, რომელსაც მანამდე ზედიზედ შვიდი თამაში წააგო და საპლეიოფო ზონიდან გავარდნის საფრთხე ემუქრებოდა. თავად ბრაიანტს კი მარტის შეხვედრებში საშუალოდ 40,4 ქულა მოუგროვდა. ამის წყალობით მისი სეზონური შედეგიანობა 30 ქულას ასცდა და ნბა-ს სხვა გამორჩეული ბომბარდირების, კარმელო ენტონის და ჯილბერტ არენასის ჩამოტოვების შემდეგ მან სეზონის ბომბარდირის ზედიზედ მეორე ტიტულზე შეიტანა განაცხადი.

აღმოსავლეთის რჩეულადაც მძლავრი მოთამაშე დასახელდა — „კლივლენდ კავალერზის“ ლიდერი და ყველაფერი, ლებრონ ჯეიმსი. ლებრონს კობივით ქულების ფოიერვერკი არ ჰქონია, მარტში ყველაზე უხვქულიან თამაშში „დეტროიტს“ „მხოლოდ“ 41 ქულა ჩაუგდო და ესაა მისი სეზონის რეკორდიც, მაგრამ სტაბილური იყო, თვის განმავლობაში ჩატარებულ 16 თამაშში საშუალოდ 30,3 ქულას იხვეჭდა და იმის დასტურად, რომ კარგი გუნდური მოთამაშეა, ისიც გამოდგება, რომ მისმა გუნდმა ამ 16 თამაშიდან 11 მოიგო.

თვის საუკეთესო მწვრთნელად ალმოსავლეთში „მაიამის“ დამრიგებელი პატ რაილი (11 მოგება, 4 წაგება) დასახელდა, დასავლეთში კი ეს პატივი „სან ანტონიოს“ თავკაც გრეგ პოპოვიჩს ერგო (13 მოგება, 2 წაგება).

თვის საუკეთესო ახალბედად დასავლეთში ზედიზედ მესამედ დასახელდა „პორტლენდის“ მსროლელი ბრენდონ როი, აღმოსავლეთში კი ეს წოდება პირველად მიიღო „შარლოტის“ არგენტინელმა ფრთამ უოლტერ ჰერმანმა. ეს უკანასკნელი ახალბედა კი გახლავთ, მაგრამ პირტიტველა ღლაპი არ გეგონოთ, 27 წლისაა და ნბა-ში მოსვლამდე ევროლიგის გამორჩეულ მოთამაშედ ითვლებოდა, 2004 წელს კი არგენტინის ნაკრებს ათენის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვებაში დაეხმარა.

**კოტე ყორშია**

**თვის სიმბოლური ხუთეული:** სტივ ნეში (ფინიქსი), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), ჯერალდ ვოლესი (შარლოტი), შაკილ ონილი (მაიამი).

# NCAA ოთხთა ფინალი



სტუდენტური ფინალის გამარჯვებული, ფლორიდელი იოაკიმ ნოა...

## ფლ-ორი-და სტუდენტურ კურორტზე

2 აპრილს მისი უდიდებულესობა ნბა ისვენებდა, მაგრამ არა მთლიანად ამერიკული კალათბურთი. დაახლოებით ამ ერთი კვირის წინ დასრულებულმა „მარტის სიგიჟედ“ წოდებულმა 12-გუნდიანმა ტურნირმა უმაღლესი სტუდენტური ლიგის ოთხი უძლიერესი გუნდი გამოავლინა, სულ დარჩეულები — ოჰაიო სთეითი, ფლორიდა, უკლა (კალიფორნია-ლოს ანჯელესის უნივერსიტეტი) და ჯორჯთაუნი.

რჩეული ოთხეული ატლანტაში შეიყარა და თამაშები გაახურა თქვენი და პირველ რიგში ამერიკის მოწონებული. საიდუმლო არაა, რომ ასეთი დონის სტუდენტურ თამაშებს ბევრად მეტი მაყურებელი ესწრება, ვიდრე ნბა-ს შეხვედრებს. ქომაგთა დიდი ნაწილი სწორედ სისხლმჩქეფარე სტუდენტები არიან, რომლებიც თავიანთ გუნდებს ნბას აუდიტორიისგან განსხვავებით, მთელი მატჩის განმავლობაში გულმხურვალედ და გაგიჟებითაც კი ქომაგობენ.

ნახევარფინალები 31 მარტს გაიმართა და ორივე შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ფლორიდამ 76:67 მოუგო უკლა-ს, ოჰაიო სთეითმა კი ჯორჯთაუნი 67:60 გამარჯვების შემდეგ ჩამოიშორა.

და შეიყარნენ ფინალში ერთი მხრივ მოქმედი ჩემპიონი ფლორიდა და მეორე მხრივ ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მუდამ საშუალოებში ტრიალებდა, 1962 წლის შემდეგ ფინალში არ გასულა. ოჰაიოელებს ერთი საშინელი იარაღი „ჰქონდათ“ არსენალში, 208-სანტიმეტრიანი მეფარე გრეგ ოდენი, რომელიც მხოლოდ ერთი წელია, სტუდენტურ ლიგაში თამაშობს, მაგრამ იმდენად მძლავრად, რომ მეორე კურსზე სწავლის გაგრძელება ალბათ არც მოუწევს. თუ თავად მან ისურვა 2007 წლის დრაფტზე მონაწილეობა, ნბა-ს გუნდები მასზე ნამდვილ ტაცაობას გააჩაღებენ.

ოდენმა თავისი მოკლე საკალათბურთო კარიერის უმნიშვნელოვანეს თამაშშიც არ შეირცხვინა თავი, ფლორიდელებს 25 ქულით, 12 მოხსნით და 4 დაფარებით დაატყდა თავს, მაგრამ მისი საქმენი საგმირონი ფინალის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა. ფლორიდა აშკარად უფრო შეწყობილ-შეთამაშებული გუნდი იყო და ეს არცაა გასაკვირი — შარშანდელი საჩემპიონო ხუთეულის უკლებლივ ყველა წევრი შეინარჩუნა და ზუსტად იგივე სპერხუთეულით წარსდგა მეორე საჩემპიონო მატჩში — ტორინ გრინი (16 ქულა ფინალში), ლი ჰამფრი (14), კორი ბრიუერი (13), იოაკიმ ნოა (8) და ალ ჰოლფორდი (18 ქულა, 12 მოხსნა). ამ ხუთეულიდან უკლებლივ ყველას აქვს დრაფტზე წარმატების შანსი. ფინალშიც ხუთივე ერთმანეთზე უკეთესი იყო. მხოლოდ ნოამ ვერ დააგროვა ქულათა საპატიო ოდენობა და ისიც იმიტომ, რომ თავისი სტატისტიკა გუნდის ინტერესებს შესწირა — სწორედ ის მეურვეობდა იმ სულთამხუთავ ოდენს. ლეგენდარული ფრანგი ჩოგბურთელის იანიკ ნოას შვილი დრაფტზე ისედაც არ დარჩება უყურადღებოდ, ამბობენ, ხუთეულში თუ არა, ათეულში მაინც მოხვდებაო.

ფინალის 84:75 მოგების შემდეგ ფლორიდის უნივერსიტეტი ბოლო 15 წელიწადში პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოიგო ფინალი. ბოლოს ეს 1991-92 წლებში დიუკის უნივერსიტეტმა შეძლო.

**კოტე ყორშია**



...და დამარცხებული, ოჰაიოელი გრეგ ოდენი

# დევისის თასი 2007

ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფი. ბელგრადი. სერბეთი. 6-8 აპრილი

## სერბეთი — საქართველო



ირაკლი ლაბაძე ბელგრადში ჩოგანს ვერ გაიქნევს

# თაბაშირი და თიხა

## სერბებმა ლაბაძე გათვალეს და ვერ გათვალეს

**საქართველოს** სადევისთასო ნაკრებმა ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში პირველად ორი თვის წინ ითამაშა. თებერვალში თბილისში პორტუგალიას მოუგო და სეზონის წინ დასახული გეგმა — ჯგუფში ადგილის შენარჩუნება — ვადაზე ადრე შეასრულა. მეორე წრეში გელა ელერდაშვილის ბიჭებს პორტუგალიაზე ბევრად ძლიერი სერბეთი ელით. თამაში კი ბელგრადში გაიმართება და ფავორიტებადაც მასპინძლები მიიჩნევიან, თუმცა არც ჩვენებურებს ჩაუქნევიათ წინასწარ ხელი. ნაკრები სერბეთში გუშინწინ, თამაშამდე ხუთი დღით ადრე ჩავიდა და სამზადისს შეუდგა.

„ოთხი დღე ვენაში ვიმყოფებოდი საერთაშორისო ფედერაციის კონფერენციაზე. სანამ თბილისში დავბრუნდებოდი, აეროპორტში ჩვენს დელეგაციას შევხვდი და ბელგრადში გავაცილე — გვითხრა გუშინ ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა *ლალი ზერეკიძემ* — სერბეთში გუნდი იმავე შემადგენლობით გაემგზავრა, როგორითაც პორტუგალიას ეთამაშა. დელეგაციაში არიან ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი და ვიცე-პრეზიდენტი ლევან რაზმაძე."

ელერდაშვილმა თან იგივე ოთხეული იახლა, მაგრამ, პორტუგალიასთან შეხვედრისგან განსხვავებით, ამჯერად გუნდს ლიდერის გარეშე მოუწევს თამაში. ლაბაძის შესახებაც ზერეკიძემ გვაცნობა:"

„ირაკლი გუნდთან ერთადაა, მაგრამ ნაოპერაციევი ხელი თაბაშირში აქვს ჩასმული და თამაშს ვერანაირად ვერ შეძლებს."

სერბებმა ჩვენებურთა დანაკლისის შესახებ ბოლო დღეებამდე არაფერი იცოდნენ და თადარიგიც როგიანი დაუჭერიათ. ირაკლი ლაბაძის და ლადო ჩიხლაძის კოზირის, ძლიერი მოწოდების ალსაკვეთად, სწრაფი საფარი, მათ თავიდანვე იზრუნეს და დარბაზში თიხის შესატანად 20 ათასი ევრო დახარჯეს. 6-8 აპრილს საქართველოს ნაკრების პირველნომრობას ლადო ჩიხლაძე გასწევს, მეორე კი ან გიორგი ხრიკაძე იქნება, ან გიორგი ჭანტურია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ძაღლის ნაკბენი

**ცხოველებისადმი** სიყვარულის გამო დაისაჯა წლის პირველი სლემტურნირის ფინალისტი ფერნანდო გონსალესი. რეიტინგში ღლესდღეობით მეხუთე საფეხურზე მდგომმა ჩილელმა სანტიაგოს, ტრანსპორტით განსკუთრებულად დატვირთულ ერთ-ერთ მაგისტრალზე დაშვებული ძაღლი დაინახა და მისი ვეტერინართან წაყვანა მოინდომა. თუმც ადამიანის ოთხფეხა მეგობარმა, როგორც ჩანს, ვერ გაუგო ჩოგბურთელს, რადგანაც არც აცია არც აცხელა და გონსალესს საკმაოდ მწარედაც უკბინა. ამის შემდეგ ჩოგნის მქნეველი უკვე თვითონ გახდა იძულებული, ექიმისთვის მიემართა.

„პატარა ძაღლი იყო, რომელიც აშკარად შეშინებული ჩანდა და ამიტომ მისი კლინიკაში წაყვანა მინდოდა. მან კი მიკბინა, თუმც სერიოზული არაფერია" — შესჩივლა გონსალესმა ერთ-ერთ ადგილობრივ ტელეარხს.

ძაღლი კი მაინც მოხვდა კლინიკაში. მას ახლა ცოფზე იკვლევენ. საჭიროების შემთხვევაში გონსალესს მკურნალობის კურსის გავლა მოწევს. თუმც თავად ჩოგბურთელი ახლა მხოლოდ დამდეგ კვირას დასაწყებ მონტე კარლოს მასტერსზე ფიქრობს.

**კახა ლომაშვილი**

# მთავარი ფაქტორი: ჯოკოვიჩი

**6-8 აპრილს**, ანუ ზეგიდან კვირის ბოლომდე ბელგრადში დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის I ჯგუფის მატჩი გაიმართება — მასპინძელი სერბები საქართველოს ნაკრებს დაუხვდებიან.

გელა ელარდაშვილის გუნდმა 2005 წლის ზაფხულიდან მოყოლებული მარცხი არ იცის. ამ ხნის მანძილზე ქართველებმა მიყოლებით დაამარცხეს განელები, სამხრეთ აფრიკელები, პოლონელები, უნგრელები და პორტუგალიელები და, თანაც, ყველას ერთნაირი ანგარიშით — 3:2 მოუგეს.

ბელგრადში ამ წარმატებული სერიის გაგრძელება ძალზე ძნელი იქნება. მშობლიური კედლების ფაქტორს რომ თავი დავანებოთ, ჩვენმა ლიდერმა ირაკლი ლაბაძემ სულ რაღაც თვენახევრის წინ გაიკეთა მტკივან ხელზე ოპერაცია და თებერვალში პორტუგალიელებთან თბილისური მატჩის შემდეგ კორტზე არ გასულა, ხოლო მასპინძლებს ნოვაკ ჯოკოვიჩი ჰყავთ და სწორედ ეს არის მთავარი ფაქტორი. ჯოკოვიჩი, ვისაც 20 წელი 22 მაისს შეუსრულდება, მეტეორივით შეიჭრა საჩოგბურთო ელიტაში და ბოლო ოთხ კვირაში მთელი მსოფლიო აალაპარაკა — ზედიზედ ორი ამერიკული მასტერსის ფინალს უწია და, თუ ინდიან ველსში გადამწყვეტი შეხვედრა რაფაელ ნადალთან წააგო, კი ბისკეინის სუპერტურნირზე ესპანელს რევანშიც აუღო და კარიერის პირველი დიდი ტიტულიც მოიპოვა.

ATP-ის ბოლო რეიტინგში ჯოკოვიჩი, უკვე მეშვიდეა, ხოლო საჩემპიონო რბოლაში სულაც მეორე ადგილზეა და ოთხი ქულითღა ჩამორჩება როჯერ ფედერერს.

მართალია, ჯოკოვიჩს დიდი სადევისთასო გამოცდილება არა აქვს (სულ 11 მატჩი, რომელთაგან 8 მოიგო) და ამ მხრივ ლაბაძესაც ჩამორჩება და ლადო ჩიხლაძესაც, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს — ბიჭი კარიერის პიკზეა, არნახულ აღმასვლას განიცდის და მისი შეჩერება ძალზე ძნელი, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება.

ჯოკოვიჩს რომ თავი დავანებოთ, სერბთა მეორე და მესამე ნომრები — 22 წლის იანკო ტიპსარევიჩი და 21 წლის ილია ბოზოლიაჩიც, გაცილებით მაღლა დგანან რეიტინგში, ვიდრე ჩვენი ლიდერები. ტიპსარევიჩი 92-ეა, ხოლო ბოზოლიაჩს 120-ე პოზიცია უჭირავს, ხოლო სერბთა ნაკრების მეთხე და ყველაზე გამოცდილი წევრი ნენად სიმონიჩი, მართალია, ამ წუთისთვის კლასიფიკაციაში მხოლოდ 520-ეა, მაგრამ სამაგიეროდ, წყვილთა რეიტინგში მას მე-9 ადგილი უჭირავს.



AFP

რამდენჯერმე გამოცდილება ვახსენეთ და, თუ გუნდურ გამოცდილებაზე მიდგება საქმე, უპირატესობა ამ მხრივაც მასპინძლებს აქვთ. თავი დავანებოთ იმას, რომ ყოფილი იუგოსლავიის სამართალმემკვიდრედ მიჩნეული სერბები დევისის თასზე 1927 წლიდან თამაშობენ და ამ ხნის მანძილზე 160 მატჩი ჩაუტარებიათ, მაშინ, როდესაც ქართვლებისთვის ბელგრადული შეხვედრა მხოლოდ 52-ეა. მართალია, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ სერბები ერთი ხანობა ჩრდილში მოექცნენ, მაგრამ უკვე შარშან, ისრაელისა და ბრიტანეთის ნაკრებების ძლევის შემდეგ ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდნენ ელიტარულ მსოფლიო ლიგას და იქ მოსახვედრ მატჩში ველარას გახდნენ როჯერ ფედერერის შვეიცარიასთან.

მასპინძელთა სასარგებლოდ მეტყველებს ის ერთადერთი დაპირისპირებაც, რომელიც დევისის თასის ეგიდით სერბებსა და ქართველებს შორის შედგა. 2000 წელს, როდესაც ორივე ნაკრები ევროაფრიკული ზონის, ოდენ მესამე ჯგუფში თამაშობდა, ტუნისში ჯგუფური ტურნირი ჩატარდა და სამხრეთელმა სლავებმა ქართველებს 3:0 მოუგეს. სხვათა შორის, მაშინ სერბთა ნაკრებში უკვე თამაშობდნენ სიმონიჩი და ტიპსარევიჩი. პირველმა ერთეულთა შეხვედრაში 6:1 6:3 სძლია ჩვენს ბურჭულაძეს, ხოლო მეორემ დულიჩ-ფიშერთან ერთად წყვილში 6:2 6:3 დაჯაბნა ბურჭულაძისა და ენუქიძის დუეტი.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ ბელგრადული მატჩის უპირობო ფავორიტი დეიან პეტროვიჩის გუნდია, მაგრამ დევისის თასს თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს და იმედია, გელა ელერდაშვილის დამოძღვრილი ქართველები თითოეული ბურთისთვის იბრძოლებენ და თავიანთ შანსებს ბოლომდე გამოიყენებენ.

# მელიქიშვილი გოვორცოვას დაელაპარაკება

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, ქალაქ პელემის თიხნარზე გრძელდება ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი.

პელემში სხვებთან ერთად ორი ქართველიც თამაშობდა და, თუ სალომე დევიძე საკვალიფიკაციო შეჯიბრის პირველივე წრეში დამარცხდა, სოფო მელიქიშვილმა უკვე ორი ბარიერი გადალახა.

კანადელ ჰეიდი ელ ტაბაჰის დამარცხების შემდეგ მელიქიშვილმა მეორე წრეში 4:6 6:4 6:1 დაჯაბნა რეიტინგის 576-ე ნომერი, არგენტინელი ერიკა კრაუპი და ახლა, გადამწყვეტ შეხვედრაში, კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად განთესილ ბელარუს ოლგა გოვორცოვას შეხვდება.

18 წლისა და კლასიფიკაციაში 218-ე ადგილზე მყოფი გოვორცოვა პირველ წრეში თავისუფალი იყო, ხოლო მეორეში მან იოლად — 6:1 6:3 მოუგო ამერიკელ კარტნი ნეიგლს.

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 7 აპრილი. 16.00

## საქართველო — ჩეხეთი

# წვიმამ ვარჯიში აქუნძულა

## ფრანგები ხამაშურიძეს არ იბრუნებენ



— მოხვალ შენ სასტუმროში და ვერ გადამირჩები...

— დღეს რომ „დამკუჭეთ“, კარგი იყო?! რა შეგვჭამეთ ამ მორკინალებმა, უკანახაზელებიც მაგრები ვართ...

ამ სახუმარო დიალოგითა და ხალისიანი განწყობით საქართველოს ნაკრების წევრები სასტუმრო „ლიზიდან“ ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიას მიუახლოვდნენ და 7 აპრილს გასამართი საქართველო — ჩეხეთის მატჩის წინა შეკრება დაიწყეს.

გუშინ „ლელოები“ სრულად შეიკრიბნენ, მაგრამ წვიმის გამო გეგმები შეეცვალათ. ჩვენებმა დილით ვერ ივარჯიშეს, საღამოს კი ვაკის პარკში მხოლოდ იძუნძულეს.

ნაკრებთან სავარჯიშო ფორმით იყო, მაგრამ საერთოდ არ ურბენია ჩვენების მთავარმექულე პალიკო ჯიმშელაძეს, რომელმაც რუსეთთან ჯახში ნატკენი მუხლი დაასვენა, ტრავმა რომ არ გამიზეზებოდა. ვაკის პარკს ერთი წრე შემოურბინა და მერე უქმად იყო „ლელოების“ მორკინალი გიორგი ჩხაიძე. მას საზარდულის ტრავმა აქვს, თუმც სერიოზული არაფერია და ჩეხებთან აუცილებლად ითამაშებს.

ტრავმა არა, მაგრამ პრობლემა აქვს ქართველების უნივერსალ უკანახაზელს ბესიკ ხამაშურიძეს. საფრანგეთის საელჩო „ლელოების“ საკვანძო მოთამაშეს და „კანის“ მოიერიშეს უკან დასაბრუნებელ ვიზას არ აძლევს. „ცხრა წელია, რაც საფრანგეთში ვთამაშობ და ასეთი პრობლემა ჯერ არ მქონია. როდესაც რუსეთთან მატჩისთვის ჩამოვედი, საფრანგეთში სამუშაო ვიზას ვადა გასდიოდა. კლუბის უფროსობამ მითხრა, ვიზას ჩვენ გაგიგრძელებთო. ამის შემდეგ თბილისში ვარ და ორი დღის წინ საელჩოს რომ მივმართე, მითხრეს, რომ ვიზას აღარ მიგრძელებენ. თანაც უარის მიზეზი არ აუხსნიათ. სამუშაო ვიზას ვინ ჩივის, ტურისტადაც ველარ ჩავდივარ საფრანგეთში. არადა, კლუბთან კიდევ თვენახევრიანი კონტრაქტი მაკავშირებს“ — გვითხრა ხამაშურიძემ.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველო ჩეხეთთან

შერკინება: ავთანდილ კოპალიანი (მონტობანი, საფრანგეთი), გიორგი ჟღენტი (კლერმონ-ფერმანი, საფრანგეთი), დავით დადუნაშვილი (მასი, საფრანგეთი), მამუკა მაგრაქველიძე (მეტრო რასინგი, საფრანგეთი), დავით გასვიანი (ექსი, საფრანგეთი), ზურაბ მჭედლიშვილი (დომონი, საფრანგეთი), ვიქტორ დიდებულიძე (მასი, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (ანდორა, საფრანგეთი), ილია მაისურაძე (ნანტი, საფრანგეთი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი, საქართველო), გიორგი ჩხაიძე (მასი, საფრანგეთი), ბესიკ უდესიანი (შალონი, საფრანგეთი)

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა, რუმინეთი), მერაბ კვირიკაშვილი (პო, საფრანგეთი), პალიკო ჯიმშელაძე (არასი, საფრანგეთი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ნანტი, საფრანგეთი), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი, საფრანგეთი), ბესიკ ხამაშურიძე (კანი, საფრანგეთი), გიორგი შკინინი (ბლუა, საფრანგეთი), ოთარ ელოშვილი (არასი, საფრანგეთი)

### ჩეხეთი საქართველოსთან

შერკინება: იან ოსვალდი (ტატრა, ჩეხეთი), იან ზახარიაში (სპარტა, ჩეხეთი), რომან შუსტერი (ლიმოჟი, საფრანგეთი), ჟირი სკალი (სპარტა პრაღა, ჩეხეთი), იან ბენდა (სპარტა, ჩეხეთი), პაველ ინდრაკი (პვიჰელი, უელსი), მარტინ მენსიკი (ბრნო, ჩეხეთი), ვლასტა მადრი (პრაღა, ჩეხეთი), იან რუდოლფი (პეტროვიცე, ჩეხეთი), კარელ კუჩერა (რიჩანი, ჩეხეთი).

უკანა ხაზი: პაველ სიროვი (პრაღა, ჩეხეთი), ვიტესლავ დოსედლა (ბრნო, ჩეხეთი), ტომაშ კრეჟჩი (ბრნო, ჩეხეთი), იაროსლავ ტომჩიკი (ჰავიროვი, ჩეხეთი), პაველ კამრდა (რიჩანი, ჩეხეთი), პაველ ვოკრუჰლიკი (სპარტა, ჩეხეთი), ტომაშ ნოვიცკი (რიჩანი, ჩეხეთი), მიხალ შლანგერი (პეტროვიცე, ჩეხეთი), ჰონერ ლუკაში (ტატრა, ჩეხეთი), მიხალ ჟირმანი (სლავია, ჩეხეთი)








მიკაჲ კოგო

# ქუჩის მორბენლები

## ჰაილეს ხუთწლიანს კოგოს ხუთი წამი არ ეყო

**აპრილი** მძლეოსნობის სამყაროში ერთგვარი გარდამავალი პერიოდია — ზამთრის სეზონი დასრულდა, ზაფხულის, ანუ ღია სტადიონების კი ჯერ არ დაწყებულა და ასეთ დროს ყურადღების ცენტრში, როგორც წესი, ქუჩის სტაიერები ექცევიან.

გრძელი გზის ხალხი სხვა არავინ არის, თუ არა აფრიკელები — კენიელები, ეთიოპიელები და ძმანი და დანი მათნი, თუმცა, ხანდახან ისეც ხდება ხოლმე, რომ მავანი ევროპელი, თუ ზოგადად არააფრიკელი ახერხებს და ამარცხებს შავი კონტინენტის ფეხმარდ შვილებს.

სწორედ ასეთი რამ მოხდა შვეიცარიაში, სადაც ციურიხის ტრადიციული მარათონი რუსული წარმოშობის მასპინძელმა ვიქტორ როხლინმა და ნაღდმა რუსმა ნინა პოდნებესნოვამ მოიგეს.

როხლინმა 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათში 8 წუთსა და 19 წამში გაირბინა, შვეიცარიის რეკორდი დაამყარა და უახლოესი მდევარი, კენიელი სემი კურგატი სამ წუთზე მეტით მოიტოვა უკან.

პოდნებესნოვას რაც შეეხება, მას კარგა ხანს კვალში ედგა თანამემამულე ელენა ტიხონოვა, თუმცა ბოლოსკენ ნინამ იძალა, ელენას წუთზე მეტი მოუგო და მესამე ადგილზე გასული კენიელი სუსან ჯეპკორირი კი შორს, ხუთი წუთით უკან მოიტოვა.

თუმცა, კიდევ გავიმეორებთ — თეთრი მორბენლის შავზე გამარჯვება უცხო ხილი გახდა და ეს ჭეშმარიტება ამ დღეებში გამართულ სხვა გარბენებში კიდევ ერთხელ დამტკიცდა. ასე, მაგალითად, კალიფორნიული კარლბადის ქუჩებში 5-კილომეტრიანი შეჯიბრი მოეწყო. ქალებში ყველას სახელოვანმა ეთიოპიელმა მესერეტ დეფარმა აჯობა, ვინც, სხვათა შორის, ამ დისტანციაზე, ოლონდაც სტადიონზე სირბილში ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ. 23 წლის დეფარმა კარლსბადის ქუჩები 15 წუთსა და 1 წამში გაირბინა და მთელი 20 წამით აჯობა მასპინძელ ჯენ რაინზს.

სადაც ეთიოპიელი, იქ კენიელიც და კაცებში ფინიშთან პირველი 26 წლის სიმონ ნიდირანგუ იყო, რომელმაც 5 კილომეტრი 13 წუთსა და 28 წამში დაფარა, ოღონდაც დეფარივით აშკარა უპირატესობით ვერ იმარჯვა — ბოლოსკენლა აჯობა მდევარ მექსიკელებს ხუან ლუის ბარიოსსა და დავიდ გალვანს.

ჰოლანდიაში, ქალაქ ბრანსუმის ქუჩებში 10-კილომეტრიანი გარბენი იყო და კენიელ მიკაჰ კოგოს ხუთი წამი დააკლდა 10000-მეტრიანი საგზატკეცილო სირბილის მსოფლიოს რეკორდამდე. ეს რეკორდი 2002 წლის 11 დეკემბერს დოჰაში დაამყარა დიადმა ეთიოპიელმა ჰაილე გაბრესელასიემ — 27 წუთი და 2 წამი და აი, ბრანსუმის ქუჩებში კოგომ 27 წუთი და 7 წამი აჩვენა. რეკორდი არ შედგა, მაგრამ კენიელი ისტორიაში მესამე შედეგითაც კმაყოფილი დარჩა, მით უმეტეს, რომ უახლოეს მდევარს და თანამემამულეს ბარნაბას კოსგეის ლამის წუთნახევარი — წუთი და 26 წამი მოუგო.

კენიელებმა იმარჯვეს ქალებშიც — ჰილდე კიბეტმა 10 კილომეტრი 32 წუთსა და 24 წამში გაირბინა და ფინიშზე 5 წამით მიასწრო თანამემამულე პენინაჰ არუსეის.




მესერეტ დეფარი

# კლიჩკო-მასკაევი არ იქნება?



**ვიტალი კლიჩკოს** რინგზე მობრუნების ფართოდ რეკლამირებული ამბავი შეიძლება, გადაიდოს ან საერთოდაც არ შედგეს. მოგეხსენებათ, უკრაინელს თავისი ძველი, WBC-ს ქამრის დაბრუნება ჰქონდა გულში ამოჭრილი. ამ ტიტულს კი ახლა ოლეგ მასკაევი ფლობს და უფროსი კლიჩკო სწორედ მას უნდა დატაკებოდა. აქ კიდევ ერთი მუშტის მქნეველი, ნიგერიელი პიტერ სამუელი იყო ჩართული — აფრიკელი ქამრის სავალდებულო პრეტენდენტია და მასკაევთან წესით, მას უნდა ეჩხუბა, მაგრამ გარკვეული თანხის სანაცვლოდ მზად იყო, უკრაინელისთვის თავისი ადგილი დაეთმო.

აქამდე ვიცოდით, რომ კლიჩკომ თითქოს ყველაფერი მოაგვარა და მისი მასკაევთან ჯახი ამა წლის 2 ივნისს მოსკოვში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, მხარეები შეთანხმებას ვერაფრით ვერ აღწევენ. პირველად ხმა პიტერის ბულგარელმა პრომოუტერმა ივაილო გოცევმა ამოიღო, რომელმაც ყველაფერი კლიჩკოს გადააბრალა:

„როგორც ჩანს, ვიტალი სპონსორებს ვერ პოულობს. მან რატომღაც უკან დაიხია და პიტერისთვის იმდენის გადახდას აღარ აპირებს, რამდენზეც შეთანხმებულები ვიყავით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტიტულისთვის მასკაევს კლიჩკო კი არა, პიტერი დაეჯახება“.

ასეთი განცხადების შემდეგ კლიჩკო პირში წყალს ვერ ჩაიგუბებდა. უკრაინელმა ჟურნალისტებთან მიმოიხილა დღევანდელი მდგომარეობა და შემდეგი განაცხადა.

„პიტერმაცა და მასკაევმაც რაღაც ძალიან დაიფასეს თავი. არც ერთი არ აპირებს კომპრომისზე წამოსვლას. მაგალითად, მასკაევი, რომელსაც ცხოვრებაში თითო ბრძოლაში 2,5 მილიონზე მეტი არ აუღია, ახლა გაორმაგებულ ჰონორარს ითხოვს, პიტერს კი რინგზე 1,5 მილიონზე მეტი არასოდეს უშოვია, ჩვენ 3 შევთავაზეთ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემი და მასკაევის ჩხუბს უყუროს. თან იცის, რომ მისი შემდეგი ბრძოლა აუცილებლად ჩემპიონთან იქნება. ის მაინც უკმაყოფილოა. ასეთი არაფერი გამიგია — თუ ასე გაგრძელდა, ეს ბრძოლა არც ერთ შემთხვევაში არ შედგება. ბოლოს და ბოლოს, პიტერს ან მასკაევს საკუთარი ჯიბიდან ხომ არ დავაფინანსებ“ — გაკვირვებული იჩენდა მხრებს კლიჩკო.

უკრაინელმა მოკრივემ თქვა, რომ მოლაპარაკებები მაინც გრძელდება და კვირის ბოლომდე გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, თორემ 2 ივნისს ამ ბრძოლის გამართვის შანსები მინიმალური იქნება.

**ჯაბა ლომჯაშვილი**

---

ლაურეატები



ელენა ისინბაევა 2006 წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალია

# ელენა და როჯერი

როჯერ ფედერერი ზედიზედ მესამედ დასახელდა წლის საუკეთესო სპორტსმენად. ამ ჯილდოს, რომელსაც სპორტული ოსკარსაც ეძახიან, გენიალური ალპელი ზედიზედ მესამედ იგებს, რაც უნიკალური მოვლენაა თუნდაც იმიტომ, რომ ამ ჯილდოს გადაცემა 2000 წლიდან დაიწყო და აქამდე ვინმეს სამჯერ კი არა, ორჯერაც არ ღირსებია. ეს უაღრესად საპატიო თიკუნი.

ფედერერის საუკეთესოობაში ეჭვის შეტანა აზრადაც არავის მოუვა — „მხიარულმა როჯერმა“ ხომ შარშან ოთხიდან სამი სლემტურნირი მოიგო, რასაც კიდევ მასტერსის სერიის ოთხი ტურნირი მიამატა. სულ დიადმა ალპელმა 11 შეჯიბრზე იმარჯვა და 1968 წლის შემდეგ პირველი ჩოგნის მქნეველია, ზედიზედ სამ წელიწადში 10 ან მეტ ტურნირს რომ იგებს.

წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის ტიტული კი ჭოკით ხტომაში ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონსა და მრავალგზის რეკორდსმენ ელენა ისინბაევას ერგო. ამ რუსმა ბრილიანტმა სულ ოდნავ, მაგრამ მაინც დაჯაბნა შვედი შვიდჭიდელი კაროლინა კლუფტი.

**ჯაბა ლომჯაშვილი**

---



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

2 აპრილი

**დალასი 2:4 სენტ ლუისი**

0:1 სტემპნიაკი (11), 1:1 რიბეირო (31), 1:2 მეტროპოლიტი (34), 1:3 ვაიტი (35), 2:3 მორროუ (40), 2:4 სტემპნიაკი (60)

# კიპრუსოფის კვირა

**კვლავაც** მეკარეების სიჭარბე შეინიშნება გასული კვირის თავგამოჩენილ ჰოკეისტებს შორის — ამჯერად საუკეთესო სამეულში ორი კარის დარაჯია.

უპირველეს ვარსკვლავად „კალგარის“ ფინელი სუპერკიპერი მიკა კიპრუსოფი დაასახელეს, რომელმაც სეზონის ბოლოს ის ფორმა აკრიფა, რომლის წყალობითაც შარშან საუკეთესო მეკარის ტიტული მოიგო. სწორედ ფინელის დამსახურებაა, „ალებმა“ დროულად რომ გამოიღვიძეს და „კოლორადოს“ არ მისცეს მიახლოებისა და პლეი ოფში გამსვლელი ბოლო ადგილისართმევის საშუალება. გასულ კვირაში კი კიპრუსოფმა სამიდან სამ შეხვედრაში იმარჯვა, რომლებშიც საშუალოდ 1,3 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 95,9 პროცენტს იგერიებდა.

აგერ უკვე მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ წლეულს „ფლორიდაში“ მხოლოდ კაპიტანი ოლი იოკინენი ირჯება სათანადო დონეზე, რომელიც აგერ უკვე მერამდენედ ხვდება კვირის ვარსკვლავებს შორის. ისე, იოკინენის ასეთი დიდებული სათამაშო ფორმა კარს მომდგარი მსოფლიო ჩემპიონატის ფონზე განსაკუთრებით კარგ გუნებაზე ფინეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბს აყენებს. გასულ შვიდდღეულში კი ოლიმ 7 ქულა (1+6) მოიხვეჭა.

მესამე ვარსკვლავად კი „დეტროიტის“ სუპერვეტერანი კარის დარაჯი დომინიკ ჰაშეკი დასახელდა. გასულ კვირაში „დომინატორმა“ სამიდან ორი შეხვედრაში იმარჯვა და ერთი, ისიც ბულიტების სერიაში დათმო. ჰაშეკი საშუალოდ 1,3 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 95,1 პროცენტს იგერიებდა.

**ჯაბა ლომჯაშვილი**



მიკა კიპრუსოფი

# ბუდაის თვე

**მეკარე** განსაკუთრებულად დააფასეს გასული თვის მონაცემებითაც.

მარტის საუკეთესო მოთამაშედ „კოლორადოს“ ახალგაზრდა კარის დარაჯი პეტერ ბუდაი დაასახელეს, რომელსაც ასეთი პატივი პირველად ერგო. სლოვაკი მართლაც დიდებულად გაისარჯა — მარტში 12-ჯერ მოუწია ყინულზე გასვლა და ყველა შეხვედრაში თავის გუნდს მინიმუმ ერთი ქულა მაინც აალებინა. უფრო კონკრეტულად, სლოვაკმა 10 მატჩში იმარჯვა, ორში კი ოვერტაიმში ან ბულიტების სერიაში დამარცხდა. ამ პერიოდში ბუდაი საშუალოდ 2,24 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 91 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავად „სან ხოსეს“ მთავარი დამრტყმელი ძალა ჯო ტორნტონი დასახელდა, რომელმაც პირადი ანგარიში მარტში 24 ქულით შეივსო (5+19).

მესამე ვარსკვლავი „ტამპას“ ერთ-ერთ ლიდერსა და ჩემპიონატის უმთავრეს სნაიპერ ვენსან ლეკავალიეს ერგო, რომელმაც მარტში 10 შაიბა შეაგდო და 12-ჯერ საგოლედ უპასა პარტნიორებს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუ ლამორელომ საკუთარი თავი მწვრთნელად დანიშნა

# მე თვითონ!

**„ნიუ ჯერსის“** გენერალურ მენეჯერ ლუ ლამორელოს კარგა ხანია, ოდნავ შერეკილის სახელი აქვს დაგდებული — მისი არაორდინალური სვლები თუ ინტრიგები არაერთხელ ქცეულა სკანდალების მიზეზად. ამ გამოცდილი და ცბიერი კაცისგან უკვე აღარაფერი უკვირთ, მაგრამ გუშინ ლამორელომ ჩრდილოამერიკული ჰოკეის სამყარო კიდევ ერთხელ ჩააგდო შოკში, როცა გუნდის დამრიგებელი კლოდ ჟულიენი დაითხოვა და ჰოკეისტების გაწვრთნა თავის თავზე აიღო.

მოულოდნელი ამ გადაწყვეტილებაში ის იყო, რომ „ეშმაკებმა“ მთელი სეზონი მშვენივრად გაიარეს — აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზე არიან და პლეი ოფს ერთ-ერთი ფავორიტის როლშიც ხვდებიან. წესით და რიგით, ჟულიენთან სასაყვედურო რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლამორელო ხომ ჩვეულებრივ ჩარჩოებში არასოდეს ჯდებოდა.

„ვიცი, რომ ბევრი გიჟად ჩამთვლის — გუნდს 102 ქულა აქვს, დივიზიონს იგებს და პლეი ოფისთვის ემზადება. ამ დროს კი მწვრთნელის მოხსნა ბევრისთვის სისულელე იქნებოდა. მაგრამ ამის მთქმელები ზედაპირულად იცნობენ გუნდში არსებულ ვითარებას. მე მშვენივრად ვხედავდი, რომ ჩვენ არასწორი მიმართულებით მივდიოდით და ამიტომაც ავიღე ჩემ თავზე ამხელა პასუხიმგებლობა“.

თუმც აქ შეიძლება, სულ სხვაგან მარხია ძაღლის თავი — ლამორელოს ალბათ ძველის გამეორების იმედი აქვს. ლუმ ხომ ასეთივე რამ 2000 წელს გააკეთა, როცა რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსკენ მოხსნა რობი ფტორეკი და მის ადგილზე ლარი რობინსონი დანიშნა. მაშინ „ნიუ ჯერსიმ“ პლეი ოფში უბრალოდ იფრინა და სტენლის თასიც დაისაკუთრა.

ვიხილავთ ვითომ დე ჟავიუს? ძალიან საეჭვოა. თუმც დაველოდოთ და ვნახოთ — ლამორელოსგან არაფერი არ იქნება გასაკვირი, მათ შორის ლორდ სტენლის სახელობის ვერცხლის თასის ზეალმართვაც.

**ჯაბა ლომჯაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები


ორი 22: მიხაელ რენსინგი და კაკა

AFP


პიტერ კრაუჩმა და სტივენ ჯერარდმა „ლივერპული", ფაქტობრივად, ნახევარფინალში გაიყვანეს

**მილანი (იტალია) 2:2 ბაიერნი (გერმანია)**

1:0 პირლო (40), 1:1 ვან ბუიტენი (78), 2:1 კაკა (84პ), 2:2 ვან ბუიტენი (90)

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი (კალაძე 86), გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (გურკუფი 85), კაკა, ჯილარდინო (ინძაგი 71)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**ბაიერნი:** რენსინგი, სანიოლი (ლელი 67), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, გარგრივსი, ოტლი, შვაინშტაიგერი, მაკაი (სანტა კრუზი 85), პოდოლსკი (კ. პიზარო 68)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ჯილარდინო, სალიჰამიჯიჩი, ვან ბუიტენი

მსაჯი: ი. ბასკაკოვი (რუსეთი)

77 700 მაყურებელი

**პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 0:3 ლივერპული (ინგლისი)**

0:1 ჯერარდი (27), 0:2 რიისე (49), 0:3 კრაუჩი (63)

**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, კრომკამპი (ფეპერი 68), და კოშტა, სიმონსი, სალსიდო, მენდესი (კლუივერტი 51), ვაირინენი, კოკუ, კულინა, ფარფანი (სუნი 46), ტარდელი

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე (ზენდენი 65), ჯერარდი, მასკერანო, ხ. ალონსო, აურელიო (მ. გონსალესი 75), კრაუჩი (ბენაიუნი 85), კაიტი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: მასკერანო, კლუივერტი, კაიტი, ფეპერი

მსაჯი: ბ. ლაიეკი (საფრანგეთი)

36 500 მაყურებელი

# გერმანელთა ბელგიელმა დანიელმა მილანი აწამა

დანიელ ვან ბუიტენი — მიუნხენის „ბაიერნის" ბელგიელი მცველი „სან სიროზე" გამართული უზვგოლიანი ტრილერის გმირად იქცა. მან „როსონერის" ორჯერ გაუტანა.

გაუტეხელმა გერმანულმა სულმა ისევ გამოაჩინა „კლანჭები" და მართალია, ჯერ ძალიან ადრეა იმის თქმა, რომ „ბაიერნი" ნახევარფინალშია, მაგრამ ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა ამისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ანტიგმირად კი მთავარი მსაჯი იური ბასკაკოვი უნდა მივიჩნიოთ. ჩანს, „ბაიერნის" ხელმძღვანელ კარლ-ჰაინც რუმენიგეს მატჩის წინა დღეს ტყუილად არ გაულანძღავს იგი და რუსი არბიტრის ქმედებებით, წესით, არც „მილანი" უნდა იყოს მთლად კმაყოფილი...

„მილანი" თითქმის მთელი მატჩი ფლობდა უპირატესობას, ვერ ვიტყვით, დიდსო, მაგრამ საგრძნობს. პირველი მომენტიც მასპინძლებისა იყო: კლარენს ზეედორფი ვარდნაში მილიმეტრებით ასცდა ბურთს. ცოტა ხანში მასიმო ამბროზინის თავური კარის ხაზზე შეაჩერა მიხაელ რენსინგმა. „ბაიერნის" ახალგაზრდა მეკარემ მოგვიანებითაც იყოჩაღა, როცა ალბერტო ჯილარდინოს თავურისას გამოავლინა საოცარი რეაქცია და გუნდი იხსნა.

მე-40 წუთზე კი პირველი გოლი გავიდა — „ბაიერნმა" „მილანის" შეტევა თითქოს მოიგერია, მაგრამ მასიმო ოდომ ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააბრუნა, სადაც ანდრეა პირლომ ოსტატური თავურით ლამაზად გადაავლო ბურთი რენსინგს, ვინც ამ ეპიზოდში დაიბნა და სათანადოდ ვერ გაისარჯა.

„როსონერიმ" მეორე ტაიმის დებიუტშიც გაიტანა, მაგრამ ბასკაკოვმა საეჭვო თამაშგარეს გამო გოლი გააუქმა. მეტიც, მან სასტვენის შემდეგ დარტყმისთვის ჯილარდინოს ყვითელი ბარათი უჩვენა, რის გამოც იტალიელ ფორვარდს საპასუხო მატჩის გამოტოვება მოუწევს.

„ბაიერნს" შეტევაში არაფერი გამოსდიოდა და ოტმარ ჰიცფელდმაც 68-ე წუთზე ლუკას პოდოლსკის ნაცვლად მინდორზე კლაუდიო პიზარო შეუშვა. ამან გაამართლა — ათ წუთში პიზაროსა და ოდოს ორთაბრძოლიდან ბურთი ვან ბუიტენს მიუვიდა, დიდას დაასწრო და 1:1. ეს მიუნხენელთა პირველი რეალური საგოლე მომენტი იყო მატჩში.

84-ე წუთზე ვან ბუიტენი კაკას ჩაუვარდა ფეხებში და თითქოს სუფთად ითამაშა, მაგრამ ბასკაკოვმა პენალტი დანიშნა, რომელიც თავად ბრაზილიელმა მშვიდად გაიტანა. ხოლო, როცა დამატებულ სამ წუთს წამები გადასცდა, „ბაიერნის" ბოლო შეტევა „მილანისთვის" შოკისმომგვრელი გოლით დასრულდა: ვან ბუიტენმა მახვილი კუთხიდან ჩინებულად დაარტყა და ბურთი დიდასა და ძელს შორის გააძვრინა.

ამ მატჩში ჩვენთვის საინტერესო კიდევ ის მოხდა, რომ 86-ე წუთზე მარეკ იანკულოვსკის ნაცვლად მინდორზე კახა კალაძე შევიდა. ქართველ მცველს ტრავმის გამო საკმაოდ ხანი გაუცდა და „ბაიერნთან" მატჩში დაუბრუნდა მოედანს.

პსვ —„ლივერპულზე" კი რა გითხრათ? ალბათ, ანგარიშიდანაც ხვდებით ყველაფერს.

რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოთამაშე ჰოლანდიელებს მატჩისას ჯეფერსონ ფარფანიც დაუშავდათ და საბოლოოდ, ისინი შესაშურ ფორმაში მყოფ მერსისაიდელებთან საკუთარ „ფილიპსზევე" განადგურდნენ — პირველი ნახევარფინალისტის ვინაობა, ფაქტობრივად, ცნობილია.

რაფაელ ბენიტესის შეგირდები გუნდის კაპიტან სტივენ ჯერარდის უზადო თავურით დაწინაურდნენ. მეორე იონ არნე რიისემ შეაგდო 25 მეტრიდან გასროლით. წერტილი კი ასევე თავურით პიტერ კრაუჩმა დასვა.

ერთადერთი, რამაც „ლივერპულს" ხასიათი გაუფუჭა ფაბიო აურელიოს დაშავებაა — იგი 75-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. თუ რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა ჯერჯერობით უცნობია...

**გიორგი ქაქაბაძე**


მასიმო ამბროზინის „მილანი" ოუენ ჰარგრივსის „ბაიერნს" ტოლსწორად გაეყარა

AFP

### ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები

ბარნლი 4:0 პლიმუთი
ქუინზ პარკი 1:0 პრესტონი

II ლიგა
გადადებული მატჩები

როჩდეილი 0:0 სუინდონი
შრიუსბერი 1:3 ბერი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები

ალდერშოტი 3:2 ექსეტერი
ფორესტ გრინი 0:0 გრეისი
გრეივსენდი 2:0 ჰალიფაქსი
რაშდენი 4:1 ვეიმუთი
სენტ ალბანსი 0:2 მორეკემბი
სტივენეიჯი 1:2 კიდერმინსტერი
ტემუორთი 0:1 ნორსვიჩი

### შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

მოზერუელი 0:1 კილმარნოკი

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

ქუინი 1:1 ჰამილტონი
როსი 2:1 პარტიკი

II დივიზიონი. XXXII ტური

სტირლინგი 1:0 კოუდენბითი
ბრეჩინი 0:1 მორტონი
ფორფარი 1:2 პიტერჰედი
რეითი 0:1 ეარი
სტრანრარი 3:4 ალოა

III დივიზიონი
გადადებული მატჩები

დამბარტონი 1:0 არბროთი
ქუინზ პარკი 2:1 ისტ სტირლინგი

### ავსტრია

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

ავსტრია (ლ) 3:1 ჰარტბერგი
ლეობენი 4:0 კერნტენი

თასის ნახევარფინალი

ზალცბურგი 2:3 მატერსბურგი

### პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

ლეხი 3:2 კორონა (0:1)
კრაკოვია 1:0 რადომიაკი (3:1)
არკა 0:0 პლოცკი (1:1)

### სლოვაკეთი

თასის მეოთხედფინალი

არტმედია 3:0 ჟილინა

### უნგრეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

დებრეცენი 3:1 უიპეშტი (0:0)

### ირლანდია

პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

ბოჰემიანსი 2:1 შემროკი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge